

ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთობ გიმარტი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

ჩვენი დროშა “NOTRE DRAPEAU”

დაასეგულია ნოე ფორდანის მიერ.

Nº 96

„ჩვენი დროშა“ - ს ეს ნომერი მოლიანად
ეყვენება. ტრადიციულად დაღუპულ პატა -
რა სახართველოს დიდი მინისტრის ნოე
რამიშვილის ხსოვნას :



სამოქალაქო განვირება.

უცხოეთის დღეები; გამოცლილი სიმწვანე,
ჩემი ქვეყნის ღრუბელი, და მინდვრების სიმწვანე;

ზღვას ჩამოჰედუს ჯეჯილი, სიონ გალერსება,
ხარობს პურის მარცვალი და გულმეტრდი ეცსება.

სახლ-კარს მუხა ამშვენებს; გამძლე, რეინისფერება, მამულისოფერის განწროულს, ჩუმი! .. ამოკვენება ..

შოთა აბერძენე.



孟子 亂世政治家

(1881—1930)

፭፻፬፱ ዘመንናዕስ

დაკიარგეთ დიდი ქართველი, დიდი ამხანაგი. დაკიარგეთ წოე რამიშვილი. კაცი რეინის აგებულობის, ფოლადის ხასიათის, დაუშრეტელი წყარო ენერგიის, მხედობის და თავის დალების.

მასში ბუნებამ გამოკვეთა აღამიანი საკიროველი, სანახობა იშვიათი, ერთი მთლიანი ქმნილება, ყცელა მისი თვისებები ერთი მეორესთან შეგუებული, მისი შინაგანი და გარეუგანი სახეობა საცისტით ჰარმონიული.

ის იყო დასრულებული ტიპი მებრძოლის, გატაცების, მტერთან მტრობის და მეგობართან მეგობრობის.

ის საუკეთესოდ გამოხატუადა ქართველი ხალხის ნებისყოფას, სიმტკიცეს და ოღებული გზის ერთგულებას. მან ამ იცოდა ბრძოლაში წაბორძიყება, გამარჯვებაში დაეცემობა, გაჭირებაში დახევა, უბედურებაში სასოწარკვეთილება; ყოველგვარ როულ მდგომარეობიდან ის მუდამ პოულობდა გამოსახალს.

მისი სალი ხალხური ოპტიმიზმი ხიბლავდა და იტაცებდა ყველა მის თხნამებრძოლთ; ახალგაზრდას აძლევდა რწმენას, დაეჭვებულს უმატებდა იმედებს. შურდულილივით პირდაპირი, შეუჩერებელი მოქმედი, აქტივობის განმსახიერებელი, ის მუდამ მტრის ბანაკში იყო შეკრილი და მას შორიდან თუ ახლოდან მიგნებულად ჟრტვდა. მან არ იცოდა საქმეში დაბრევა, აღელვებისათვის აქოლა, ბრძოლაში წონასწორობის დაკარგვა; აკეთებდა რაც სწამდა, სწამდა რასაც აკეთებდა.

მას ქონდა რეინის ნერვები, აუტანელის ატანა, მძიმე ტვირთს მსუბუქად ისწევდა. ის ფიქრობდა მუდამ საქმეზე, მან არ იკოდა სხვა სიამოცნება, მას არ იტ ცებდა ცხოვრების არივითარი სიტკბოება, არ ეძებდა არავითარ ფუფუნებას, მას აწუხებდა ერთად ერთი ფიქრი — ქვეყნის კედი, მას ქონდა ერთათ ერთი სიამოცნება, ქვეყნის სამსახური. ასეთი იყო ნოე რამიშვილი

კინ არ იცობდა მას? კის არ გაუგონია მისი სახელი? მან შთაბერა სამარადისოდ თავისი უკვდავი სული ჯერ სოციალ დემოკრატიულ პარტიას, შემდეგ მოჟღალ ეჩს; მისი 30 წლის აბობოქრებული ბრძოლა, ყოველოვის და ყველგან თავის პისტჩე მამაცურად დგომა, წაქცეული საქმის აყენება და აღდგომილის გამაგრება — ჩვენში სა- ყოველთაოდ ცნობილია.

ქართველმა ერმა პირველად მასში განასახიერა თავისი
თავისუფლება; პირველად მას მიანდო ნაციონალური
მთავრობის შედეგნა.. ქართველმა ერმა მასში გამოხატა
თავისი პოლიტიკური ღირსება, თავისი სიმწიფე დამოუ-
კიდებელი ცხოვრებისათვის. როცა დედამიწის ერთ მე-
ექვსედზედ ანარქია ბობოქრობდა, როცა მოული კავკა-
სია ცეცხლის ალში გაეხვია, ამ საერთო დანგრევის
და სიკედილის ცელის ბატონობაში, ერთათერთი საქარ-
ველო წარმოადგენდა მყუდროების თაზისს, თავისუფ-
ლების და წესის უკანასკნელ საბუდარს. და ეს სასწაუ-
ლება მოხდა ჩევნი შინაგან საქმეთა მინისტრის,, ჩევნი
ნოე რამიშვილის მეთაურობით, როცა მტერი ყოველმხ-
რივ შემოგვესია, როცა მისი ავენტები დაწრმოდენ სა-
ქართველოში, შეთქმულებათა და აჯანყებათა მოსაწყო-
ბად და მით ჩევნი თავისუფლების შიგნიღან ასათეთქებ-
ლად, როცა ამ ვერავობაში იმდენად დარწმუნებულნი
იყენენ რომ წინ და წინ აცხადებდნენ ევროპაში: საქარ-
თველოს წითელი ჯარი კი არა, თავისივე ხალხი შეესიაო,
ვინ ჩაუფლა მათ მოელი ეს ჯოჯოხეთური გეგმები,
ვინ გასწმინდა ჩევნი ჯარების ზურგი ამ შინაგანი მტრე-
ბისაგან ისე რომ ერთი თოვლიც ჩევნს მებრძოლთ უკნი-
დან არ მოხვედრია? იმავე ნოე რამიშვილმა,

მან დაიცვა ქართველი ერის ღირსება; მისი მეოხებით ჩვენ საშუალება მოგვეცა ქვეყნისათვის გვეტქვა: ჩვენი სამშობლო დაიძყრო უცხო ჯარებმა. რომელი ერთი ჩამოეთვალოთ, მისი საქმენი ისტორიის საგანია, ვიტყვი მხოლოდ, რომ ყოველ კრიტიკულ მომენტში იქ და აქ ემიგრაციაში ნოე რამიშვილს მიემართავდით, ყოველთვის გამოუკლებლივ, ჩვენ დაგალებას და მის მოვალეობას-ბოლომდე შეასრულებდა. არ მასხოვს არც ერთი შემთხვევა მას აღებული საქმე არ გაეკეთებიოს.

მისი ადგილი ცარიელია, მას მემკვიდრე არ დარჩენია, ჩვენი მწუხარება უსაღეროა, მოგვკვეთს მარჯვენა ხელი, მოგვკვეთს ერაგულათ, ლაპირულათ; მტერმა აილო ჩვენი ერთი უძლიერესი სიმაგრე, აილო შიგნიდან, ვაი სირცე-ვილო! ვაი ველურობავ! აღარა გვყავს ნოე რამიშვილი! მოკვდა თავის პისტიზე თავაწეული და წმიდა დროშით საქმეზე მიმავალი. მან დასდო თავი ერის სამსხვერპლოზე, მას შესწირა მთელი მისი ძალონე, მას შეაპურა თავისი სისხლი. და ჩვენ, დარჩენილთ, შეგვიძლია ვანუგვშოთ მისი სული, მიესცეთ ფიცი მტკიცე და დაურღვეველი, რომ გზა მის მიერ თელილი და შეწყვეტილი ჩვენს მიერ იქნება გაგრძელბული ბოლომდე, გამარჯვებამდე.

მშეიღობით ჩემო ნოე! მეგობარო სულით და გულით მისანდობარო! განვლე ერთად ის მწერე ათი წელი შეხმატებილებული. მე ვფიქრობდი შენს დატოვებას, შენ მომასწარი, მე დამტოვე, მოხუცებული მიწას გაბარებ ახალგაზრდას, მუხთალი ხელი თავს დაგვტრიალებს. განისვენე ამ უცხოეთის ცივ სამარეში, — ოდესმე ჩვენი შზეც გამოანათებს; ან ერთათ დავრჩებით ამ უცხოეთში, ან ერთათ წავალთ ჩვენს საამშობლოში.

6. ჟორდანია.

რ. არსენიძე.

ნოტ რამითვილის ჰსოვნას

(ამოღებულია „ჩვენი დროშას“ № 34 - დან).

30 წელი გავიდა მას აქეთ, რაც დავკარგეთ ნოე რამიშვილი! დიდი სახელმწიფო მოღვაწე, თავდადებული ჩვენი ქვეყნის საქმისათვის, ჩვენი პატარა საქართველოს თავისუფლებისა და წრმატებისათვის.

დავკარგეთ ტრალიკულად და ეს იყო ტრალდია ქართველი ერის და ლრმა მორალური განცდა უცხოეთში გადმოხინულ ქართველებისათვის, რომელთა რიგებში აღმოჩნდა ვინმე არ სახსნებელი ულირსი შეიალი, ჩვენი ნოეს სიცოცხლე რომ გასწირა. უმცველია ჩვენი მტრის ხელი ერია მმ ბოროტებაში, მაგრამ ამსრულებელი ემიგრანტის სახელის შემბლალავი იყო. მტერი დახითხითებდა მის გაციებულ ნეშტს. ყოველი გულწრფელი მოყვარე ჩვეი ქვეყნის კი ზევი ძაძით იმოსებოდა.

ამით უფრო გულსაკლავი იყო ჩვენი მდგომარეობა, ამით უფრო ღრმავედებოდა შინაგანი განცდა ყველასი, ვინც რაიმე პასუხისმგებლობას გრძნობდა ერის წინაშე, ვინც ადამიანის ღირსების დაცვაზე ფიქრობდა.

ნოე რამიშვილი!.. დამოუკედებელი საქართველოს თავმჯდომარე, რომელმაც მთელ ქვეყნას ამცნ 26 მაისს, ხუთ საათზე, ნოე უორდანის პირით გამოცხადებული აღორძინება ქართველი ერის, აღდგენა შისი საუკუნებრივი სახელმწიფოებრივობისა.

ნოე რამიშვილი!.. ენერგიული, გონიერი კოლეგიალური, მტკიცე ნებისყოფის პიროვნება! დიდი სახელმწიფოებრივი შემოქმედების აღამიანი, რომელიც მაგარი ხელით, დიდი ორგანიზატორული ნიჭით უყრიდა მკვიდრ და მყარ საფუძველს საქართველოს დემოკრატიულ პარტის, დემოკრატიული სულით გაუღენთილს.

ნოე! ახალგაზრდობიდანვე სოციალური იდეებით გატაცებული, მშრომელთა ინტერესების დამცველი, იგი ერთი იმათვანი იყო, რომელთაც მუშათა და გლეხთა საერთო მოძრაობას აულო! და თეორიულ დებულებებს, ეკრაპიდან მოტანილს, ჩვენი ქვეყნის სინამდვილის ფაქტებზე ამოწმებდა, მათ უგუებდა, მათ სასარგებლოთ ამოქმედებდა. დიახ იყი, იყო ნოე უორდანიასთან და სხვებთან ერთად, რომელმაც ქართვლი ერის ბედი და მომავალი მუშათა და გლეხთა გაერთიანებას, მათ საერთო ინტერესებს დაუკავშირა.

უნივერსიტეტიდან გამორიცხულ სტუდენტთა რევოლუციონურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის, იგი უკვე 1902 - 03 წლებში ხელმძღვანელობდა ბათომში მუშათა და გურიაში გლეხთა მოძრაობას, მათ გაერთიანებას. და ეს ექცერიმენტი, სრულიად ახალ მიმდინარეობისა საუკეთესო შედეგებით დამთავრდა.

აქ ჩვენ მის ბიოგრაფიის აღწერას არ შეუდეგებით თუმცა უგრძენობთ, რომ საჭიროა ახალმა თაობამ და საერთოდ მთელმა ქროველობამ იცოდეს დაწვრილებით ამ დიდი და საყოველთაოდ ალიარებული სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრება. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ, რომ მან არ იცოდა რა იყო პირადი ცხოვრება. თეოთონაც და მისი ოჯახიც საზოგადოებრივ მოძრაობის ტალღებში მოხვედრილი, მხოლოდ ქვეყნის, ხალხის ინტერესების დაცვაზე ფიქრობდა. მას არ ჰქონია არაეითარი კარიერა გარდა საზოგადოებრივ მოღვაწეობისა, მშრომელთათვის თავდაცებისა, ერის უზენაეს უფლებებზე ზრუნვისა. და თუ ის ერმა დააჯილდოვა იმით, რომ მას პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის თვითველობის როლი არგუნა, ეს იყო დაფასება და დაგვირგვინება მისი ათეულ წლების თავდაცებული მოღვაწეობისა.

და როცა ერის ინტერესებმა მოითხოვეს, იგი უდრტვინველად უთმობს თავის მაღალ პოსტს, პარტიის მეთაურს ნოე უორდანიას და თეოთონაც ამოუდგება გვერდში, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, რომ მთელი სახელმწიფო აპარატის შექმნას და განმტკიცებას მოანდომოს თა-

ვისი გამჭრიახობა, დაუშრეტელი ენერგია და ერის სიყვარული.

ჩრდილოეთიდან მოსულმა უცხო ძალამ და საქართველოს მოღალატე შეილთა გამცემლობამ შეწყვიტა მისი ნაყოფიერი სახელმწიფო როგორივი მუშაობა საქართველოს თავისუფლებასთან ერთად.

ნოე რამიშვილი უსაშინელეს მტრად და მოწინააღმდეგეთ ყავდა მიჩნეული ამ დამპყრობ ძალებს: რამიშვილისთანა სოციალისტები არ გააჭაპანოთ საქართველოში, იყო პირველი კარნახი მოსკოვის მეთაურებისა საქართველოს დამპყრობთადმი. და ეს არის თუ გნებავთ საუკეთესო დამახასიათებელი ნოე რამიშვილის მოღვაწეობის სახელშიწიფოებრივი და ნაყოფიერი მუშაობის. მისი ეშინოდა დიდი რუსეთის მპყრობელებს ყველაზე მეტად! ეშინოდა სამართლიანად, რადგან ნოე რამიშვილი იყო დიდი ორგანიზაციორი, ხალხის შეცომურები, გამართიანებელი. მან იცოდა ბრძოლა შიგნი, თავისიანებში, მაგრამ იცოდა ყველას ფასი და ფასი ერთობისა. მას ქონდა უნარი, შინაგან განსხვავებათა მაღლა — ქვეყნის საერთო ინტერესების დაყენების. მან იცოდა პირადულის დათმობა და გულისწყრომის შეკავება — როცა ეს საერთო საქმისათვის იყო გამოსადეგი. განსაკუთრებით შესვამთ ჩვენ დღეს, ხასს მის ასეთ თვისებას იმიტომ, რომ ხშირად იგი სხვის „ცოდვებს“ იღებდა ხოლმე თავისთავზე, ან სხვიბი აწერდნენ მას სხვის „ცოდვებს“. მაგრამ იგი თავის სახელის დაუჭასაც არ ცდილობდა, ოღონდ საერთო საქმეს არაფერი ვნებოდა.

ფიცხი და მაცური კამათში — ის ყოველთვის მზად იყო კომპომისზე წასულიყო მორიგების და გეერთიანებისათვის. ეს ისტორიული სიმათლე უნდა აღდგენილ იქნეს.

ვისაც მისი ხსოვნის პატივისცენა სურს, იგი იმის ცხოვრების გაკუთილით ისარგებლებს. მისი გზით სიარულს შეიკრიბა. „ძალა ირთობაშია“ ამ ლოზუნვით იბრძოდა ის. ჩვენც უნდა ამ გზას გვიყვეთ!

რ. არსენიძე.

—[=]—

ჩვენი გლობა

უცვე ორმოცდაათი წელი გვაშორებს ნოე რამიშვილის ტრალიკულად დაღუპვეს. მისი დაღუპვით ერთი დედამითი გამოეცალა ქ.რთველთა საერთო საქმეს.

მისმა ლახარმა მკვლელმა თუ მკელელებმა ერთი უდიდესი ქართველი გამოაკლეს იმ ბრწყინვალე გუნდს, რომელიც რწფელი გულით, თავენწირულად იბრძოდა მისი საყარელი სამშობლოს ქეშმარიტ ბეღნიერების, თვის უფლების და წარმატებათვის.

ნოე რამიშვილი დაიბადა საქართველოს იმ მცხოვნეარე მზიურ მიწაზე, რომლის ეელებმა მას ჩაუნერგეს სული ურყევი, გოლიათური, კუცურ კაცობის დიადება და მამაპაპური სისხლით მორწყული მიწის სიყვარული. ის იყო რჩეული რჩეულთა შორის, იმ საამაყო თაობიდან, რომელმაც დასწერა ქ.რთველი ერის ისტორიის საამაყო ფურცლები, მოგვცეს დიადი 26 მაისი და განახორციელეს დიდი ილიას სანუკვარი ოცნება; იშვა ახალი საქართველო, ერი გაერთიანებული, თავის უფალი, სახელმწიფო სრულ უფლებიანი, ძმობა ერთობა, თანასწორობა, რამაც მისცა ყოველ მოქალაქეს რწმენა სამართლიანობის თანხმობის და ერთობის.

ნოე რამიშვილი გონიერი და ნიჭით ახოვანი დანიშნულია საქართველოზე, დამწვარია მისი სიყვარულით და გატაცებულია სამშობლოსათვის უანგარო სამახურით. მასში შესანიშნავად იყო შეხამწიბული არაჩვეულებრივი ნებისყოფა, სიძლიერე, უბრალობა, მომხიბლავი სიცხადე. მოქლე გამოთქმები, დასაბუთება, ბრძოლის უნარიანობა იყო მისი დაუშრეტელი დენადი, რაც დამაჯერებელი, არაჩვეულებრივი ლოდიკით გიბყრობდათ და გინერგავდათ დიადი საქმის პატივისცემას და ერთგულებას, რაც გაძლევდათ გულადობას და რწმენას გამარჯვებისას. მისი ლოზუნგი იყო: „რაც არ უნდა მოხდეს, ალი წინააღმდეგობისა, შეურიგებლობისა, ბრძოლისა, გამძლეობისა არც უნდა შესუსტდეს! არც უნდა ჩაქრეს! და არც ჩაქრება.

სანამ იარსებებს ერთ, რომელიც ტყვეობაშია და ატარებს საქართველოს სახელსო“.

ნოე. რამიშვილი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც გამოაღო საქართველოს მთვლემარე პოლიტიკური ქარვასლის ბჟევარი, და შიგ შეუშვა მთელი ქართველი ერის აზლვავებული ნება-სურვილი; იყოს თავისუფალი, იყოს დამოუკიდებელი, იყოს სუვერენული და ქართველმა ერმა ნიშნად პატივისა, სწორედ მას ჩააბარა ახალშობილ საქართველოს ბელ-ილბალი და მას მიანდო პირველი ეროვნული მთავრობის შედეგნა.

ნოე რამიშვილმა იცოდა რომ ბრძოლით მოპოვებულ თავისუფლების, ახლად აღორძინებულ სამშობლოს უნდოდა მოვლა, დაცვა, პატრიონობა, ამისათვის ის დადგა პირველ რიგებში, ვით ზღაპრული ფალავანი ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცავად, რადგან ოვით იყო ბრწყინვალე ქართველი და დიდი სახელმწიფო პიროვნება, იცოდა ფასი თავისუფლებისა, და მოვალეობისა სამშობლოს წინაშე.

ბოლშევიკურმა რუსეთმა გასტეხა სიტყვა მოცემული, დაარღვია დადებული ხელშეკრულება, თავს დაგვეცა მუხანათურად და კვლავ მოვიდა რუსეთი ბოლშევიკების მეთაურობით; უფრო უხეშად, უფრო ველურად, ცეცხლით და მახვილით და ცხარე გრძოლების შემდეგ დაგვიძყრო, მოგვტაცა თავისუფლება; მოსპონ საქართველო პოლიტიკურად. მძიმე ბოქტომი დაადვეს ერის ენას, გაამეფეს ტერორი და მთელ საქართვლოს, მის წამებულ შვილთა სისხლით შეღებილი ბორკილები დაადვეს.

ქართველმა ერმა კვლავ განუახლა ნდობა ნოე რამიშვილს და იგი დავალებით, როგორც ეროვნულ მთავრობის წევრი, დამფუძნებელი ქრების დადგენილებით, ნოე ქორდანის მეთაურობით უცხოეთში წარმოიგზავნა საქართველოს, ძალით მოტაცებულ უფლებების აღსადგენად.

ნოე რამიშვილმა უცხოეთში გასწია უდიდესი მუშაობა; ამცნო მსოფლიოს თუ რა ჩაიდინა ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს წინაშე და გამოაშვარავა რუსეთის ნამდვილი სახე და ზრახვები.

ის მხარდამხარ იდგა დაპყრობილ საქართველოს ყოფა-ცხოვრების ასპარეზზე, მას მუდამ მაღლა ეჭირა და იცავდა ქართველი ერის მისწრაფებებს და მის იდეალს, ამ ტიტანურ უთანასწორო ბრძოლაში ის იდგა ვით ურუევი ჯებირი, რომელზედაც იმსხვრეოდა მტრის მიერ მოტანილი ყველა ერიშები.

მტერმა გადასწუეიტა ამ დიდი მებრძოლის ფიზიკურად მოსპობა.

1930 წლის მიწურულში, დეკემბრის ერთ დაწყევლილ დღეს, როდესაც ის მიდიოდა პარტიულ კრებაზე, რუსული ტეკიოთ ქართველი კაცის ხელით, პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე გაუგმირეს მას გული სამშობლო ჩემო! რომელიც შედგმ შენთვის ცემდა! მტრის ტკიამ ერთხელ კიდევ დაამტეიცა მასზედ თავის სიმკაცრე და ულმობლობა; დაადუშა შენი ვაჟკაცის, დიდი მებრძოლის ურჩი ბუნება და მთელ პოლტიკურ ემიგრაციის ყოფა-ცხოვრების, ისტორიის წინაშე სამარტვინო სარჩული დაუდგა.

ჭაბუქობიდანვე მასზე შეყვარებული, ეხლა ხანდაზმული, მე ბედნიერი ვიყავი რომ მას პირადად ვიცნობდი და ვეზიარე მის შესანიშნავ, ფერწაუშლელ მოღვაწეობას. ნახევარი საუკუნის შემდეგაც ვერ გელევი შენ! ვერ ვურიგდო შენ უდროოდ ტრალიკულად დალუპვას. ჩემს გულისფიცარზე მარად ხარ დახატული, როგორც წმებული ქვეყნისათვის, იდეისათვის, აზრისათვის, ერისათვის. შენ მოგქლეს, მაგრამ შენი მაგალითით შენ ისევ საქმობ; შენ არასოდეს არ გმოგტოვებს შენი საყვარელი ერის ძალები, ის ძალი, რომელნიც მძლავრად ფეთქაბენ ერის თავისუფლებისათვის. შენ არ დაგივიწყებს ქართველობა; ყოველ საერთო საქმის დროს, ოცნებით გვერდზე ეყოლები წარმოდგნილი როგორც მართლადაც მშენება ჩეენი ეროვნულ განმანთავისუფლებელ ბრძოლებისა.

საუკუნო იქნება ხსენება შენი აღამიანო! რომელსაც პირად ცხოვრებამ არ დაგავიწყა არც ის მხარე, არც ის ხალხი რომლის ძუძუმაც გასაზრდოვა და გაგზარდა შენ.

მაშ ნახვამდის! მსგავსი შენი კვლავ მონიჭებოდეს ჩეენს ბედკულ სამშობლო საქართველოს!

ლევან ფალავა.

6 თ. მ რამიშვილის ხსოვნას

(„ბრძ. ხმა“, დეკემბერი 1936, № 67).

1930 წლის 7 დეკემბერი, უთუოდ ერთ დიდ სამგლოვი-არო დღეთ იქნება გამოცხადებული ქართველი ერის მიერ. ამ დღეს, სწორედ ექვსი წლის წინეთ, უბედური და უგუნუ-რი ქართველის მიერ მოკლულ იქმნა პირველხარისხოვანი პოლიტიკური ორგანიზაციონი საქართველოსი. ამ დღეს, პარიზში ტრალიკულად გარდაიცვალა ერთი დამაარ-სებელთაგანი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწი-ფოსი, ერთი შემქმნელთაგანი ჩვენი დემოკრატიული რეს-პუბლიკისა. ამ დღეს დამთავრდა მოწამობრივი სიცოცხლე აღაშიანის ასთე გაბედულად და თავდადებულად რომ ჩაუდგა სათავეში აღორძინების გზაზე შემდგარ ქართველ ერს. ნერ რამიშვილის ასე უდროოდ დაკარგვამ ისეთი გამოუთქმელი მწუხარება გამოიწვია საყოველთაოდ, რომ დღესაც არ განელებულა ის; ცველა ვგრძნობთ სიცარიც-ლება ეხლაც, იმ უბედურ დღეს რომ შემოიხაზა და დღე-საც ისე, როგორც ექვსი წლის წინეთ დამწუხარებულთ, არ გვრცევნია ცრემლებისაც კი.

საკუთარი თავის პატრონი ერი, ამ ხნის განძავლობაში, ეინ იცის რამდენ ძეგლს არ აღმუართავდა ასეთ ღირსეულ შვილს, ასეთ დამსახურებულ პოლიტიკურ და საზოგადო მოღეაწეს, მისი პარტია, მისი ყოფილი თანამშრომლები და ამანაგები დასწერილენ არა ერთ და ორ მონაცემითის და მთელ რიგ მოგონებებს განსცენებულზე და მის მიერ გაქეთებულ საქმეებზე; საქართველოს მინისტრი ნ. რამიშ-ვილი კი, ისე როგორც საქართველოს დამფუძნებელი კრე-ბის თავმჯდომარე დაუკიწყარი კ. ჩხეიძე, ღირსეულ და-ფასებას სულგრძელად უნდა ელოდოს მანამდის, სანამ მადლიერი სამშობლო ხელახლა არ დაიბრუნებს დაკარ-გულ თავისუფლების და არ აღადგენს დამოუკიდებელ ეროვნულ ცხოვრებას. ცოცხლების ვალია კი, მომავალ

თაობის, გამგრძელებელს ამ შამების ისტორიული საქმი-ანობის, არაფერი დაუკარგონ მათი მოქმედების და დამსახურების სფეროდან და ასე პირნათლად შეასრულონ თავისი მოვალეობა წარსულის და შომავლის წინაშე.

ბედმა მარგუნა მქონებოდა ნ. რამიშვილთან მახლობელი და ხანგრძლივი კავშირი უფრო მეტი ვინემ ქართველი ს.-დემოკრატიის რომელიმე მეთაურთან. პირველმა შეხვედრამ და გაცნობამ პეტრესი (ნ. რამიშვილის ფსევდონიმია), ამიერკავკასიის ს.-დ. ორგანიზაციის ყრილობაზე 1908 წ. თფილისში, ჩემზე მოახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება. ამ არალეგალურ კრებაზე, რომლის ორგანიზატორი იყო ს. ჯიბლაძე, თავმჯდომარე და მთავარი მომხსენებელი ნ. უორდანია, ნ. რამიშვილი კი იყო თავმჯდომარის ამხანაგი თანამომხსენებელი, და ყველა მიღებული რეზოლუციების წარმომდგენელი და დამცველი. ის განიჩეოდა ყველა დელეგატებისაგან. გარეგნულადაც კი. ამ საიდუმლო სხდომაზე საიდგანაც ძალიან მოსალოდნელი იყო პირდაპირ კახეში გამგზავრება და საამისოდ ყველა ფსიქოლოგიურად მომზადებული ვიყავით რამიშვილი მე ვნახე ერთად ერთი მომცინარი, კოხტად გამოწყობილი და ლამაზათ მისკვილი გალსტუკით ისე, როგორც მე მას ვხედავდი რამოდენიმე წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა მინისტრის, როგორც საქართველოს მინისტრს. ამ პირველი შეხვედრის შემდეგ ჩვენ ერთმანეთი ალარ დაგვიყარგავს.

1910 წ. გერმანიიდან დაბრუნებული ნ. რამიშვილი საქტემბერში ჩამოდის გურიაში, სადაც მოგვნახავს ნესტორ ჩხიევაძის საშუალებით და ჩვენ თრი მას ვუწყოფთ პარტიულ კონფერენციას ხიდისთავში. აქ ის აკეთებს მოხსენებას სრულიად უჩვეულოს, იმ დროს პარტიული კრებებისთვის — საერთოშორისო პოლიტ. მდგომარეობა. გერმანია, რუსთი, ნაციონალური საკითხი აქსტრია - გერმანიაში, ჩეხის უფლებრივი მდგომარეობა და რუსეთში ასეთი მდგომარეობისათვის ბრძოლა საქართველოსათვის. ეროვნული საკითხისათვის გამოთქმული აზრის წინააღმდეგ

ნოეს გამოედავა სრულიად მოულოდნელად კონფერენცია-
აზე გამოცხადებული ბოლშევიკი მგელაძე (ვარდენი; დღეს
უკვე თვით ბოლშევიკების მსხვერპლი), რომელიც ნოემ-
რიოდე სიტყვით ჩააჩომა. ხდება გურიის კომიტეტის არ-
ჩევა, ნოე გვაძლევს შესაფერ ინსტრუქციას მე და ნესტორ
ჩხილევაძეს და გვპირდება ხშირად ნახვას და იმფორმაციის
მოწოდებას მომავალი ამბების მოლოდინში რუსეთში.

არ გასულა ორი თვე, რომ ნოე დაატუსალეს და გადა-
ასახლეს როსტოკში, სადაც მე მას ასეთივე გადასახლებუ-
ლი ვხვდები 1912წ. შემოდგომაზე. ამ ხანად როსტოკში
უკვე თავმოყრილია მთელი რიგი გამოჩენილი რევოლუცი-
ონებისა და სოციალისტები ქართული ინტელიგენცი-
ისა: გრ. ლორთქითანიძე, ა. ა. ჩხერიძელი (მე მას როსტოკში
ვეღარ ვუსწრებ, რადგანაც ის ბრუნდება არალეგარული და
საქართველოში მეოთხე სახელ. სათათბიროს არჩევნების
დროს), პ. ჭიჭინაძე ს. დევდარიანი, რ. ჩხელიძე ს. ფირცხა-
ლავა, ფ. მახარაძე, ა. ენუქიძე და კიდევ რამდენიმე ათე-
ული პარტიული მუშაკების, როგორც მუშათა ისე
ინტელიგენტთა წრეებიდან. ნოე რამიშვილი იქ არის
სული მთელი კოლონის. ახლად ჩასულის ან ეტაპით
ჩავარდნილის ჭირისუფალი, მომწყობი, სამუშაოს მშოვ-
ნელი, დამხმარე საქმით, მრჩეველი, გამკლოვი, გამამხნე-
ვებელი. მსურველს აბრუნებს უკან საქართველოში, შოუ-
ლობს ფულს, ძლევს დავალებას; ბრუნდება ბევრი პარ-
ტიული მუშაობის გასაგრძელებლად და კავშირების აღ-
სადგენად პარტიულ ორგანიზაციებში. 6. რამიშვილი სარ-
გებლობს როსტოკის რუს სოციალისტური და ნაწილობ-
რივ რ დიკალური ინტელიგენციის პატივისცემით და არ
არის ქართველი, რომ რაიმე შესაფერ ადგილზე არ იყოს
მოწყობილი. როსტოკის ს- დ. კომიტეტი და პარტიის მე-
თაურები იყენებენ ნოეს ორგანიზაციულ გამოცდილებას
და ჩჩევას მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში
და პირველი შემთხვევაა, — რამოდენიმე ოლქიდან გაყავთ
დებურატი ს. დ. ტულიაკოვი (12 დებურატში). თვითონ
ნოე მსახურობს პურის სალეწავ მანქანების ერთ დიდ სა-
ვაჭრო ფირმაში, იქ ყველამ იცის რომ ის ს. დ. ბელადია,

არ მოსწონთ ეს, მაგრმ მოსწონთ მისი ჰედმიტევნით დი-
დი კეთილსინდისიერება და სერიოზულობა. ის ყველას
ხიბლავს მისი მოქნილობით და ფირმა მას არ ითხოვს სამ-
სახურიდგან. კვირა - უქმე დღეებში და საზოგადოთ თავი
სუფალ საათებში, ნოეს ერთოთა პინაზე, სადაც ის
ცხოვრობს თავის საყვარელ მეულე მარიოთ, დადიან ქარ-
თველი ამხანაგები მოურიდებლად, უბოლიშით ამბების
გასავებათ, საქამაოოდ, აზრთა გაცვლა გამოცემისათვის,
ის ყველაზე უფრო საყვარელი ამხანაგია იმ დროს როს-
ტოვში, ყველასათვის უდავო აგტორიტეტია: თვით ფ.
მახარაძე, რომელიც ვერავის ვერ იტანს მის სიახლოეს,
ნოეს საქმიანობის და სიყოჩალის ქებაშია და ნოე მასაც
ეხმარება ზოვიერთ საარსებო საკითხების მოწესრიგებაში.
არ მახსოვეს შემთხვევა, რომ იმ აუარებელ შეხვედრების
დროს ნოეს „ადამიანური“ საქმეებზე ელებარაკა ვინმეს-
თან, მუდამ პოლიტიკური, პარტია, საქართველოში მიმ-
დინარე ბრძოლა, სად რომელი ამხანაგი არის, რას აკეთე-
ობს, რომელმა რა უნდა გააკეთოს, სად წავიდეს და სხვ.

1913წ. ნოე მიემგზავრება პეტერბურგში და რამდე-
ნიმე თვის განმავლობაში იქ, ცენტრალურ პარტიულ ორ-
განიზაციებში, პრესაში და სათაობიროს სოც - დემ. ფრა-
ქციაში მუშაობის შემდეგ, როსტოვში გამოვლით, ბრუნ-
დება საქართველოში არალეგალურად.

მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გვშერს ყველას სა-
ქართველოდგან დატერუნდეთ სახლში არალეგალურად,
შესაძლებელია თავის გატანა, სამსახურის შოვნაც. წერი-
ლებში ფრთხილად წინასწარმეტყველობს დიდი ამბების
დატრიალებას ამ ომის დროს. მართლაც მისი რჩევით
ვმრუნდებით უმრავლესობა და ნელნელა ეწყობიან ამხა-
ნაგები ომის დროს შექმნილ სხვადასხვა დაწესებულებე-
ბში.

ნოე რამიშვილი საქართველოს დამოუკიდებელი რეს-
პუბლიკის მინისტრის როლში. — ეს ხომ სამაყო და ბრ-
წყინვალე ფიგურაა ქართველი ხალხის იმ დროინდელ
ხელმძღვანელთა შორის. როგორც ბრწყინვალე და საა-
მაყოა მთელი ეს ხანმოკლე დრო საქართველოს საერთო

ისტორიაში. აქ ნოემ გამოიჩინა მთელი თავისი ნიჭი, ოსტატობა, მამაცობა, გამჭრიახობა და შრომის, წეუწყვეტელი შრომის ამტანლობა. ეს უბედნიერესი და უმწვერესალესი ხანა ნოე რამიშვილის ცხოვრებაში, ნაწილობრივ უკვე დახასიათებული იყო და მას მოელის კიდევ დამატება და გაშუქება. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ დეტალებს, როგორც ყველა დიდ აქტიურ, ტემპერამერით საესე მოღვაწეებზე, ისე ნოეს პირად თვისებებზე სხვადასხვა აზრი იყო გავრცელებული გარეშე საზოგადოებაში. ხშირად გაიკონინდით: მშრალი, უგულო, შეუბრალებელი, მიუკარაბელი არისო; მისთვის არსებობს საქმე, მხოლოდ მისი პროგრამაო და სხვ. ჩევნი დამოუკიდლებლობის ხანაში, დღიდან მისი გამოცხადაბისა, კატასტროფის უკანასკნელ დღემდის, მე წილად მხედა ვყოფილიყავი მოწმე მისი ურთიერთობის გარეში საზოგადოებასთან და საზოგადოთ მის გარშემო ყოფი ადამიანებთან, რამდენათაც ეს მიმდინარეობდა მინისტრის ფუნქციის შესრულების დროს თეთი უწყების კედლებში. არ მახსოვს შემთხვევა რომ ნოესთან ლაპარაკის, თხოვნის, მიმართვის შემდეგ ვინმე მისგან უქმაყოფილ გამოსულიყოს. იყო შემთვევები პირდაპირ აღტაცების და დიდი კმაყოფილების.



Աղեղցը թուղար, Մշշնօնեծովո, մեղքայարշալո մեսէցոլո
Եժուադ մասգան ծրաբեցուա ճաճ պուրքի թուղո և ճաճէց-
ցածուղո. մաստե մռայահայք, պայլանց սոյրո և եօն-
լացաւ, հոք եղո սուրաց զայնց թուղո մաս թշնօլս, ցայտայթէ-
ցա ու ուստու գործուղուրուցաս սացան ու ուցենաս և ու ց և
Շշմաժլց թուղո ուր ուր ուր թշնօց ցակցմէց ցանցարշալցան
մու Մշսարուղո թուղո. եալուա մասուցա: Յը թէնձնուրցաս սա-
մունիշացլու ուղյու պոյուղու թերուց ցուրէնց (յանցարշալցան
(յանցարշալցան հցեմի), նոցստան աշւցուուս Մշմէց ցամաւ-
նացա: Ելու յո մուշեցու ու հարում եարտ պայլա այ սոց
մացրատ և այ մայուրատ ցոյտորաց տացուո. հուրա սոցտո
աջամօնցնեցո, հոցուրու նոյ համուշցուո մարտաց ուշցեն հցե-
չութլուցաս.; Իյէ Տուրութելցի ծեցը աշւցնցուանց ցուուց-
ուցար, ծեցը մոնուսիրհեցտան մոլանահայուա, մացրամ սոցտո
նատցլու անրուս մշոնես մյ პորցուցաւ ցեցացո. ցտեռուտ
ցալասցու համուշցուուս իյմո ալրացրեա և ու սայուրու ճաց-
րիցնո մոցուղուց սրուլ մու ցանցարշալցանու (նոյ
թա՛ն ցանցալցնուս մոնուսիրու ուր). Մոնացան սայմէտա
սամոնուսիրունու արևեծոնց ցանցուցուցա ելութոյլուտա և
ցայտուրքի թուղու գուստուուցա պայլա ու մունուցնեն
լաեմարյեցուստցուս. ար պոյուղու Մշմտեցցա, հոմ մոնուսիր
համուշցուուս ուցումյ ցոյտեռու մտեռցնելուս პոլութիւրո
մոմարտուղուց ան թուցեծուու մոցումարյունա. Ե՛նորու պո-
յուցուու Մշմտեցցա, հոմ մաստան, համեր ու ուցենուտ մուսուլա
ցոնմյ տացաւ - Ենասրուտ թուցեծուուն, — լաձահայունան
ցամուրցուցա հոմ մտեռցնելու ցայտուրքի թուղու, մացրամ
մանչե ար լաձահայունուս տացմուցարյունուս ցամո, նոցս,
ուշցատու թայտու, Մշմինց ցուրէնցաւ, լայցալցնեցան մոելց-
սատցուս, հոմ ցմուրցը համուցու լաձահայունուս մուտցուս.

შინაგან საქ. სამინისტროში გადმოვიდა მემკვიდრობით ყოფ. მეფის ნაცვალის კანცელარიის მოხელეები. ნოე სცდილობდა კანცელარიის გაეროვნებას, რომ მოხელეები ყოფილიყვნენ ქართველები, ქართულის მცოდნენი და საქ- მის ქართულად მწარმოებლები მიუხედავად პოლიტიკუ- რი მიმართულებისა; ამტკიცებდა რა ახლად მიღებულ მო- ხელებს, მისთვის სახელმძღვანელო იყო მხოლოდ ქართუ-



ლის კარგად ცოდნა. ამიტომ ჩოტა 1920 წელს დეპუტატმა გრ. ვეშაპელმა შეიტანა შეკითხვა დამფუძნებელ კრებაში, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა გაავსო თავისი კანცელარია სოც - დემოკრატებითო, ნოეს დიდი შრომა არ დაჭიდებია დაუყონებლივ უარეყო ეს და დაემტკიცებია, რომ გარდა მისი პირადი მდივნისა, მ.ს პარტიული ამხნები მოხელეებად არ ჰყავდა.

ამ მაგალითებით აშკარად მტკიცდება როგორ ბრძნულად და ადამიანურათ იყენებდა ნოე რამიშვილი თავს სოციალისტურ პოლიტიკას ეროვნულ ცხოვრების სამსახურში, რასაც ის აგრძელებდა უცხოეთში მისი მოღვაწეობის გადმოტანის შემდეგაც.

ეს პატარა დახსიათება არ იქნებოდა სრული, რომ არ დაესძინო ერთი რამ და ამას ძვირფასი ამხანაგის და მეგობრის პატივისცემა მოითხოვს. ნოეს პქონდა ერთი ნაკლი და ეს იყო, რომ ის მეტისმეტი მგრძნობიარე იყო საზოგადოებრივი აზრისადმი და ხშირად მზად იყო მეტად დაახლოებული და ერთგული მეგობარი მოეგლიჯა გულიდან, თუ ის ნოეს ამეამად აღარ მიაჩნდა სასარგებლოდ საქმისათვის. ამავე დროს ნოეს გადარწმუნება საბუთებით იყო მეტად აღვილი და მას არა დროს არ მიაჩნდა თავმოყვარეობის საკითხათ მიღებული დადგენილების გადასინჯვა და შეცვლა.

მე ვიყავი მოწმე, მეტი ვინმე სხვა, უკანასკნელად როგორ ილექტურებოდა მის სულში და გულში რუსეთის თავდასხმა საქართველოზე და რასაც განიცოდა ეს უდიდესი ქართველი ამ ეროვნული სასოწარკვეთილების დროს. ამის აღწერა უნდა გადაიდეს სხვა დროისათვის.

დღეს კი წლის თავზე ნოე რამიშვილის ტრალიკული დალუპისა, დაე, ეს ორიოდე სტრიქონი იყოს წელილი მისი ლირსეული დაფასებისთვის მომავალში..

ემელიან ლომთათიძე.

პრალა.

ს. მენალარიშვილი.

როგორ მოხდა!

(„ბრძოლის ხმა“. დეკემბერი 1930 წ.)

შაბათ საღამოს სახლში ნოეს წერილი დამხედა, რომელ-
შიც, პარტიულ კრების გამო, კვირას თოთხმეტ საათზე
და თხუთმეტ წუთზე „პორტორლეანზე“, შეხვედრას
მოხვედა. — იქ შევხვედეთ ერთმანეთს და იქიდან კრებაზე
წავიდეთ — მჭერდა. სრულ თოთხმეტ საათზე და თხუთ-
მეტ წუთზე მივედი „კაფე მარეშალ უურდენ“-ში, სადაც
ნოე ახლადმოსული დ. მხედა და პალტოს იძრობდა. დაეს-
ხედით; კრების ზოგიერთ საკითხებზე ვიმუშაითვთ. სამის
ნახევარზე მეტროში ჩაეჯექით და კრებაზე წავედით
გზაში განსვენებული სულ პარტიულ და ეროვნულ საქმე-
ებზე მსჯელობდა; მომავალ საქმიანობას როვალისწი-
ნებდა, საქართველოში მუშაობის გაცხოველებაზე თავის
აზრს მაცნობდ . ამ მუსაიფში ამოვედით „პლას დ ატალი..-
ზე და „გობლენის“ ქუჩას დაცვებით. ნოე მარჯვნივ მომყო-
ბა. როდესაც გაფუსწოდით მეცამეტე უბნის თვითმართ-
ველობასთ ნ მიწის სამუშევარისათვის აგებულ ჯებრებს,
ნოე მეკითხება: — სანდრო! რას ფიქრობ საქართველოში
მუშაობის შესახებ?... და უცებ ორჯერ გავარდა რევოლ-
ცერი. ქუჩა ხალხითაა გატელილი. ხალხი დაფრთხა და
ჩვენს ირგვლივ ქუჩა დაცარიელდა... ვხედავ, ნახევარი
მეტრის მანძილზე, რევოლცერის ტუჩი შუბლ ში შემომ-
ურებს. — ვხედავ ჭანუყვაძეა. აღარ მიფიქრია დ: რაც ძა-
ლი და ღონე მქონდა თავი ვაძეერე ნიკაპზე. ამ ღროს გა-
ვარდა მესამე და შუბლში დამისწებული ტყვია თავის მარ-
ცხენა მხარეს გამეკრა. ვფიქრობ დაჭრილი ვარ, მაგრამ
მკვლელი ხომ ჩემს ხელშია. ერთმანეთს დაუეტაგეთ, -
ვცდილობ იარაღი ავართვა; ის კი ექებს შესაფერის მდგრ
მარქობას, რომ ტყვია მომიძღვნას, მომკლას და გაიქ-
ცეს. (ჩუსტები ეცვა, გასაქცევად მომზადებული იყო).
მარცხენა ხელით იარაღიან ხელს ვუჭრ, მარჯვენა ხელით

კი სახეში გურტყამ, მინდა დავასუსტო და განავიარალო, ნოეს რ. დაემართა არ ვიცი; მე ის დაჭრილი მოგნია და აი ამდროს, ამ ჭიდილში თვალი მოვკარი, რომ ჩემი ნოე ქვეყნილზე გშელართულიყო, ერთი წამით თვალთ და-მიბნელდა. ამით ლაჩარმა მკვლელმა ისარგებლა და მო-მინდომა რევოლვერის ტუჩის საფეხქელზე მოდება, მაგ-რამ ჩემი დაბნევა წამიერი იყო; ნახულის შთაბეჭდილებით ხელი აუკარი და მეოთხეც და მეხუთეც ჩემს თავზე ჯა-ვარდა. ეხლა, უკვე ცემით მისუსტებული ჭანუყვაძე დიდ ჭინაალმდევობას ვეღარ მიშვეს; ერთი გაბრძოლებაც და ის ჩაიკეცა, რავოლვერი ხელთ ჩამიერდა... სიკვდილს უკვე ხალხმა გადა რჩინა. ეს ყველაფერი ოთხ-ხუთ წუთში გათავდა.

გასიახლიანებული, ცხეირპირდამტვრეული, მაგრამ სამ-წუხაროდ ცოცხალი, ლაჩარი ჭანუყვაძე პოლიც მ წაიყ-ვანა. მხოლოდ კომისარიატში გავიგდე, რომ ჩემი ძვირფასი ნოე იქვე გრძალაცვლილიყო. არც ამოკენეს, არც ძახლი მისგან არ გამიგონია, ან რომც დაეკვნესა რას გავიგონებდი. ან რას უშველიდი მე უბედური! ვერც ვუშველე ვორც თავი შევაკალი; ეს მწვავს და მდაგავს, ეს ტკეილებს მიძ-რავს და მახრჩობს.

აქვე უნდა გავფანტო გაზეთებში გავრცელებული ჭო-რი, ვითომ ლაჩარმა ჭანუყვაძემ ნოეს დაუძახა: — შე ვარ მოვდივარო. — ეს გაზეთების მიერ მოგონილი ძალა-პარია. — არავით რი დაძახილი, არამედ ფარულად, ქურ-დულათ შენობის ყურეს ამოფარებული თავს დაგვესხა მოულოდნელათ ლაჩარულ. თ. ის კიდევ საკითხია, რომ ჭანუყვაძე ვაჟკაცი ყოფილიყო და ვაჟკაცურათ მოსულიყო ვისი ცხედ. რი იქნებოდა ეხლა დასამარხათ გამზადებული, მაგრამ მოსყიდულ მკვლელს როდის პქონია ვაჟკაცობა, რომ ჭანუყვაძეს, ბუნებით ლაჩარს პქონებოდა!

სიტყვა ზარმოთშმული დეკანოზ ილიას მიმრ
პარიზის ქართულ ეკლესიაში, ნოე რამიშვილის პანაშვილ
ჰე 7 დეკემბერს 1980 წელს.

ნოე რამიშვილის მოსახსენებლად, ჩვენი დღევანდელი
ლოცვა ჩვენს ეკლესიაში არის თავდაპირველად სუ-
ლიერი საქმე — საქმე რწმენისა მოწყალე ღვთისად-
დმი, ვისც უყვარს ადამიანი და იცნობს მას თავის უკა-
ნასკნელ სამართლეში—თვით ადამიანის გაგების ზევით.

პანაშვილი ჩვენი არის პირველყოვლისა ლოცვა მონი-
სა ღვთისა, ნოე რამიშვილის სულის სამარადისო მოსვე-
ნებისათვის. ციური მარადისობა არ აუქმებს მიწიურ ბე-
დისწერას; ის მხოლოდ, თვითულ ჩვენგანისათვის აძ-
ლევს მას სულ სხვა განზომილებას. ამიტომ, ნება მიბოძეთ,
დაგისურათხატოთ დაუკიწყარი პიროვნება და მისი ტრა-
დიკული სიკედილი.

ნოე რამიშვილი, დამოუკიდებელ საქართველოს კა-
ნონიერი ეროვნული მთავრობის, რომელმაც იძულებით
დატოვა სამშობლო, მოკლულ იქნა ამ ორმოცდაათი
წლის წინათ პარიზის ერთ-ერთ ქაჩაზე. ზოგიერთების
მეხსიერებაში კიდევაა დარჩენილი ხსოვნა ამ განსაკუთ-
რებული ენერგიის მქონე, უკომპრომისო ადამიანის.

ახალგაზრდობისათვის არ იქნება ინტერესმოკლბული
მოსმენა და გახსენება მისი ცხოვრების სარბიელისა, რო-
მელიც იყო ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ახლად აღორ-
ძინებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, რომელმაც გა-
იარა მრავალი შემზარავი ტრალიკული ბედის უკულმარ-
თობა, თვითმყოფება, მაგრამ კვლავ აღსდგა ფერფლიდან
ვით ანტიური მითოლოგიური ფენიქსი.

ენერგიულობა და ყველა ვალდებულების ნებაყოფლობითი აღება საქართველოს დამოუკიდებლობის აღსაღენად, იყო მიზეზი იმისა, რომ მას იწვევდენ ყველა მთავრობების წევრად, მეტად რთულ და საშიშ მდგომარეობაში, რაც შედეგი იყო პირველი მსოფლიო ომის გართულების და მკეთრი ნახტომების ბოლშევიკური რევოლუციისა, რომელიც ემუქრებოდა რუსეთის ყველა მეზობლებს.

საშიშროება და საფრთხე მოგველოდა ყოველ მხრიდან; ჩვენს ბედზე ვერავითარმა ძალამ ვერ გასტეხა ჩვენი გამძლეობა, ვერ შებლალა ჩვენი ერის სინდისა. ეროვნულ მთლიანობის შეგნებამ, რომელიც არასოდეს არ დარღვეულა, მოძრაობაში მოიყვანა ყველა ფენები ჩვენი ერისა, რის საშუალებითაც საქართველომ შესძლო თავისუფალ ერთა რიგებში ჩამდგარიყო.

როცა დაიშალა ამიერკავკასიის სეიმი, და ამგვარად — კავკასიის მთლიანობაც, მაშინ, ქართული ეროვნული ყრილობის პირველი ამოცანა გახდა ჩვენი უძველესი ქვეყნის დამოუკიდლებობის გამოცხადება—1918 წლის 26 მაისს. ამ დამოუკიდებელ საქართველოს პირველი მთავრობის თავმჯდომარე იყო რამიშვილი, და ყველ, შემდეგ მთავრობაში კი შინაგან საქმეთა მინისტრი, რაც იყო მეტად სარისკო იმდროინდელ მღლვარე დროს, მ გრამ იხალვაზრდა ენერგიულ მინისტრმა შესძლო ყველა საშიშროების ენერგიულმა მინისტრმა შესძლო ყველა საშიშროების დათრგუნვა, რომელიც იბადებოდა უცხოთა წაქეზებით.

თვენახევრიან უთანასწორო ომის შემდეგ მომხდარმა საქართველოს დაპყრობამ ბევრი ქართველი აიძულა სამშობლო დაეტოვებია. მშობლიურ მიწის დაკარგვით სხვა ბედში ჩაეარდნილები, უცხოეთში განიცდიდენ უდიდეს გაჭირვებას, მაგრამ იმავე დროს გახდენ ცოცხალი მოწმენი და მღამადებელნი იმ ისტორიულ აუცილებლობისა, რომ ყველა ადამიანს და ხალხს უნდა მიენიჭოს თავისუფლება.

ნოე რამშვილმა, ლტოლვილობაში, მთელი მისი ნებაყოფლობით მიღებული მოვალეობა, თავისი ენერგია, უკომპრომისოთ, ჩვენი ქვეყნის დამპყრობელების წინააღ-

მდევ მიმართა. მან აღადგინა, ადუმალი გზით, კავშირი სამშობლოში ცველა თავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებთან. მან შესძლო სრული გადაბმა ემიგრაციისა სამშობლოსთან.

მის აქტიურ და ეფექტურ წარმატებით ჩატარებულ ბრძოლებს ვერ ურიგდებიან ჩვენი ქვეყნის დამპყრობელნი და გადასწუვეიტეს მისი ფიზიკურად მოსპობა. მტერმა თავის ბნელი საქმის მონაწილე ჯაცთა დახმარებით, მოახერხეს ერთი ემიგრანტის დამუშავება, და ამგვარად მიზანს მიაღწიას.

ნოე რამიშვილმა, თავისი ტრალიკული სიკვდილითაც-კი უზენაესი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას. მისი სიკვდილი არ არის სხვათაშორისო ამბავი, იგი იქცა ნამდვილ სიმბოლოდ იმ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყანაში ძალით დამყარებულ ხელისუფლებასა და ეროვნულ ემიგრაციას შორის.

ახლა ვილოცოთ ყვალამ ერთად — ეროვნული ერთობით, იმ პირისათვის, რომელიც იყო თავდადებული მსახური ქვეყნისა და შეურიგებელი მტერი დამპყრობელებისა. მან განიცადა აღსასრული მოულოდნელი მძვინვარე ძალდობით და აღიმართა კით სიმბოლო, რომელსაც ვერ გასცემს დროთა ბრუნვა. მისი მსხვრბლად გაღება უნაყოფო არ დარჩება და ღმერთმა მიიღოს მართალ საქმეთ ეს მისი ღვაწლი.

ვილოცოთ! ჩვენი ქვეყნისათვის და მისი ტანჯული ხალხისათვის — ჩვენი ემიგრაციისათვისაც, რომელიც არის განუყოფელი ნაწილი ჩვენი ერისა — თვითონაც რომ განიცდის წამებას.

დასასრულ ქვლავ ვილოცოთ ნოე რამიშვილისათვის, რათა საუკუნო იყოს ხსენება მისი.

(ფრანგულიდან თარგმნა ლ. ფალაფაშ.)

—[:]

დიდი აღამიანის ხსოვნას

დაბადებიდან 100 და დალუპვიდან 50 წელი შესრულდა მას აქეთ, როცა დავკარგეთ ნოე რ ნიშვილი. ძვირფასი იყო ის დღე, როცა მან წუთისოფელი იხილა და შემდეგ ჩადგა საქართველოს სამსახურში. ნებას გაძლევ ჩემ თავს მოვი-გონა ჩემი ზოგიერთი ურთიერთობა ნოე რამიშვილთან.

ნეოთლულის პარტიული უჯრედის მდივანი ვიყავი, დამავალეს ქრებაზე მომეყვანა ნოე რ. მიშვილი, არ შეუძლია ყველამ განიცადოს, თუ რა არის ახალგაზრდის გნ-ცდა, როცა იგი უსხლოვდება დიდ პიროვნებას, მე გავე-შურე ცენტრში და ზოგიერთი ამხანაგების სამუალებით შევძელი მისი ნახვა. მიმილო გალიმებული სახით და შემე-კითხა: „რატომ შეწუხებულხართ ყმაწვილო“. მე აუხსენი საქმის მდგომარეობა. სიმოვნებით დამთანხმდა. მეორე დღესვე ეტლი მიუყვანე, გზაზე მაძლევდა, დარიგებებს, რასაც სულგანაბული ვუსმენდი. მივედით. — დარბა-ზი სავსე იყო მუშებით. უმთავრესად კახელები, სასაკლაოს მუშები. დაინჭეს თუ არა ნოე, წეიქნა შეძახილი „გაუ-მარჯოს ჩევნს ნოეს“. სიტყვა დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა, გათავებისას ოვაციები გაუმართეს. უკან დაბ-რუნებისას არ მოისურვა წამოვყოლოდი, მე მარტო დავ-ბრუნდებიო.

ნავთლულში ტრებობდა სამხედრო საავადმყოფო, რომ-ლის მართველი იყო გარუსებული ექიმი ლულაძე, რომე-ლმაც აავსო შავრაზმელებით და რუსებით საცადმყოფო, აქ აღმოჩნდა ივანოვი, ჯ. შუში, რომელიც შემდეგ დახ-ვრეტილი იქნა ზესტაფონში. ლულაძესთან მუდმივ კონ-ფლიქტში იყნენ ქართველი ექიმები, ვერაფერი გაწყვეს შეადგინეს დელეგაცია, როგორც მართველი პარტიის მდივანი მეც გამიყოლიეს. ნოემ დელეგაცია მიიღო და მას ყოველგვარი დახმარება აღუთქვა. არ გასულა ერთი კვი-რა ლულაძე მოხსნილი იქმნა თანადებობიდან და პის ად-გილის დანიშნეს ექიმი თიკანაძე, მგონი დღეს იკადემიკოსი ბრძანდება. დაითხოვეს უცხო პირები და ასე ნოეს წყა-ლობით საავადმყოფო გაქართულდა. ხალხს ნოე ძლიერ უყ-

ვარდა, ყოველი მხრიდან მოითხოვდენ, მაგრამ ამის მოცა-
ლება აღარ ჰქონდა. ხ.ლხმა მას ჩააბარა დამუკიდებლო-
ბის პირველი მთავრობის თავმჯდომარეობა და ორც შემ-
ცდარა. ის იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც საქართ-
ველის ეროვნული საკითხი გარკვეულად დააყენა პარტია-
ში, ჯერ კიდევ 1916 წელს, პირველი დიდი ომის დროს,
ჩვენი ერთს იმ სახითვათო ხანაში.

იმ წელიწადს, სოფ. ჯუნჯუათში, ლანჩხუთის საზოგა-
დოება, შესდგა, შეტად საიდუმლო, და სახითვათო კონ-
ფერებული, რომელსაც დაესწრებ პარტიის პასუხისმგებე-
ლი პირები. ამ კონფერენციაზე ნოე რამიშვილის წინადა-
დებით ძილებული იქმა გადაწყვეტილება: „იმ შემთხვევ-
ვაში თუ, რუსები კავკასიის ფრინტს მოხსნიან და წავლენ
საქართველოდან — გამოცხადებული იქნება დამოუკი-
დებლობა და შესდგება საქართველოს მთავრობა. ცნო-
ბილი მიზეზების გამო, ეს დადგენილება ინახებოდა საი-
დუქლოდ.

მაშინ, როცა რუსეთში ხოცეა-ულეტა იყო, ცეცხლში იწ-
ოდა მთელი რუსეთი, საქართველოში სიწყნარე სულევდა. მ.ს ძლიერ უყვარდა ახალგაზრდობა. მისი ხშირი სტუმარი
იყო გოგიტა ფალავა, რომელსაც მიძყავდა მასთან ახალ-
გაზრდები და გაიმართებოდა მათ-შორის აზრთა გაცელა-
გამოცვლა საქვეყნო საკითხებზე.

ნოეს ყავდა, უსათუოდ, მოწინააღმდეგები და მოკრიტი-
კენი, მაგრამ ყოველ გაჭირების დროს მისკვნ ეჭირათ
თვალი, აფასებდენ მ.ს., როგორც ლირსეულ და მაგარ
სახელმწიფო მოღვაწეს. უცხოეთში მან სხვა პოლიტიკურ
მოღვაწეებთან ერთად ჩამოიარა ევროპის დიდი სახელ-
მწიფოები, სადაც გამოქვნდათ რეზოლუციები, მოითხო-
ვდნენ საოცუბაციო ჯარების გაყვანას. მან დასწერა „ის-
ტორიული მატერიალიზმი“. ხელმძღვანელობდა ყველა
პარტიულ გამოცემებს ნოე კორდნიას მეთაურობით. მან
წარუდგინა პოლონეთის გმირს პილსუდსკის ყველა პარ-
ტიების წარმომადგენელნი, რომელსაც შემზევდებოდა ეთქვა: „სამშობლოს რომელსაც ასეთი შეილი ჰყავს არ დაიღუ-

პები“. ამ მოლაპარაკების შედეგ იყო უურნალ „პრომე-
ტეს“ დაარსება.

ერთს შავ დღეს, როცა ნოე პარტ. კრებაზე მიღიოდა,
ჩვენი ქვეყნის მტრებმა, ისარგებლეს ს ქართველოს უღი-
რსი შეილით რომელმაც მის სიცოცხლეს ვერაგულად
ბოლო მოუღო. როცა კომისარიატში მისი ღარიბული
ტანთსაცმელი ნახეს, პოლიციელებს მეტად გაუკვირდათ.

კრებიდან ნოე უორდანია გავაცილეთ, გზაზე ხმა არ
ამოუღია, როცა მის სახლში მიეკვიდით, „ცალი ხელი მომ-
ჭრეს“ თქვა და თან დაუმატა:

„ვისაც მისი პატივისცემა გინდათ მიჰყევით მის გზასო“.

ნოე არ ფიქრობდა საკუთარ თავზე, მისთვის ოჯახის
შემდეგ მხოლოდ სამშობლო არსებობდა და უკანასკნელ
წუთამდე მხოლოდ გას ემსახურა.

მას სამგლოვიარო წერილი მიუძღვნა საფრანგეთის
ცენტრალურ ორგ. ნოში, საფრანგეთის სოციალისტური
პარტიის ლიდერმა ლეონ ბრიუშმა. ავრეთვე ბრიუსელის,
და გერმანიის სოციალისტურმა უურნალებმა, საქართ-
ველოს მეგობარმა რენოდელმა სპეციალურ ნომერში თა-
ვის „ლ ვი სოციალისტში“.

ვის შეუძლია დაივიწყოს ქვეყნის მოჭირნახულე, მედ-
გარი მებრძოლი და თავისი ქვეყნისათვის თავდადებული.

მისი ახელი მუდამ იცოცხებს ერში! მას ვერ დაი-
ვიწყებს საქართველო, რომელსაც მან თავი შესწირა!

პ. სარჯველაძე.

[I] = [II]

დამარცხებული, მაგრამ დაუჩირებელი

გასულ წელში, მკვლელობის ორმოცდათ. წლისთავი
შესრულდ, ხოლო წელს დაბადების ასი წლისთავი უსრუ-
ლდება ნოე ამიშვილს. ამ ორმაგ მნიშვნელოვან თარი-
ლის აღსანიშნავად, განსვენებულის პოლიტიკური მეგობ-
რები სცემენ „ჩვენი ღროშა“ - ს განსაკუთრებულ ნომერს,

რაც საჭირო და მისასალმებელია საერთო ქართული საქმისათვის სას. რეგბლო. ამ მანიფესტაციაში მონაწილეობას უნდა ღებულობდინენ არა სოციალისტებიც. გახდა რა დამოუკიდებელ საქართველოს პირველი დროებითი მთავრობის თ. ვ. მჯდომარე, ნოე რამიშვილი აღარ ეკუთვნის მხოლოდ სოციალ - დემოკრატიულ პარტიას, ის, აგრეთვე, შევიდა და დამკვდრდა საქართველოს ს. ხელმწიფო მოლვაწეთა პანთეონში, შეიძლება ზოგს ის მოსწონდეს, ზოგს არა, ასეთია ბედი ყველა პოლიტიკურ მოღვაწისა, მაგრამ აღარავის აღარ ძალუქს მისი იქიდან გამოდევნა.

გადმოცემის მიხედვით, ხალგაზრდა ოემისტოკლეს, რომელიც საზოგადო მოღვაწეობის ს. პარეზით იყო გატაცებული, მამამისმა, რომელსაც სურდ. შვილის ნიჭი სხვა უფრო ნაკლებად სახითო გზით წარემართა, მიუთითა ადამიანის თავის ქალაზე, რომელიც ზღვას გამოერიყა და უთხრა: აი, ესაა ბოლო სახელმწიფო მოღვაწისათ. ნოე რ მიშვილის ცხოვრება დადასტურებაა ამ ძევლთაძეველი სიბრძნისა, — 50 წლის ჯან-ლონით და ენერგიით საქსე, ის მსხვერპლი გახდა უცხო მიწაზე მისიერ თ. ნამებრძოლისა და ხელქვეითისა. ასეთი ტრაგიკული დასასრული კიდევ უფრო შარაგანდედით მოსახს, უმისოდ. ც სახელგანთქმულ მოღვაწის პიროვნებას.

როგორც სოციალისტი ნოე რამიშვილი იყო ინტერნაციონალისტი, მიუხედავად ამისა ის მაგრად დგას მშობლიურ მიწაზე და ემსახურება ქართველ ხალხის ინტერესებს.

კიდევ ერთი ამბის აღნიშვნა საჭიროა ნ. რ. პიროვნების გასაგებად. მან სამშობლო, მისი დედაქ-ლაქი აირჩი მისი პოლიტიკური კარიერის ასპარეზად, და გაიზიარა თავისი ხალხის ჭირ - ვარამი და სიხარული, აქ მოიპოვა სახელი და გავლენა, აქ მოუსწრო რუსეთის რეოლუციამ, აქ დარჩა ის ამ რევოლუციის გასანვითარებლად, მის ეროვნულ რევოლუცი დ გადასაქცევად. ამაშია გასაღები ნოე რამიშვილის პიროვნების და მისი შემდევი პოლიტიკური კარიერის .

ნ. რამიშვილი სრულიად ახალგაზრდა ჩაება რევოლუციურ სტიქიაში, ამის გამო უნივერსიტეტიდან გამორიცხუ

ლი, ის მთელი თავისი ნიჭით და უნერგიით ეპშება თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. უკვე 1902 - 3 წლებში შასზე ლაპარაკობენ როგორც ბათუშის მუშების და გურიის გლეხების რევოლუციური შოთარობის ორგანიზატორზე. 1905 წელში, ნ. რაბიშვილი ემხრობა მარტოვისა და ქორდანის პოზიციას პარტიის ორგანიზაციის საკითხში, ე. ი. მერშევიზმს და როგორც პროპაგანდისტმა, მან ლენინის მიმდევარ ბოლშევიკების გაფლენისაგან გაწმინდა საქართველოს სოც. დემოკრატიული ორგანიზაციების. იმ დროს ბევრს არ ესმოდა ამ ძმათა შორის ატენილი ომის საჭიროება; ისტორიამ დაამტკიცა ამ ბრძოლის არამც თუ საჭიროება, არამედ აუცილებლობაც და დიდ-მიუშენელოვანებაც, რაღანაც ლენინის მიერ შექმნილი ჯერ ფრაქცია, შემდეგ პარტია დაუძინებელი მტერი გამოდგა იმ თავისუფლების იდეალების, რომლისთვისაც სიცოცხლეს სწირავდა, მსოფლიოს მილიონობით სოციალისტი.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, ნოე რამიშვილს უკვე გავლენიანი საზოგადო და პოლიტიკური მოღაწის სახელი აქვს დამკვიდრებული, არა მხოლოდ მიაპარტიაში, არამედ მის გარედაც. ის ერთი იშვიათაგანი ქართველია თბილისის ქალაქის თვითმარტველობის გამეობაში. 1914 წელში თურქებმა სასტიკად დაამარცხეს რუსეთის ჯარები სარაჯამიშთან. გავრცელდა ხმები, რომ რუსები სტორებენ კავკასიას. თბილისში პანიკაა....

ამ დროს, ქართველი ინტელიგენცია, ქალაქის თვითმარტველობის ქართველი წევრების ინიციატივით ქმნის თავდაცვის საბჭოს ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით. რუსებმა მალე გამოასწორეს სამხედრო მდგომარეობა თურქეთის ფრონტზე და თავდაცვის საბჭოს აღარ გადაუდგამს რაიმე ნაბიჯი, მაგრამ მაინც ეს ამბავი მოწმობს, რომ პასუხისმგებელ ქართველ მოღვაწეთა შორის ამ დროს უკვე მომწიფებულია აზრი რუსეთიდან გამოყოფისა და, რომ ამ საქმისათვის ნოე რამიშვილი სარგებლობს ეროვნუ-

ლი ძალების ნდობით. ამიტომ გასაკავირი აღარ არის სამოთხი წლის შემდეგ ამისა, როცა რუსეთი რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლშია და, როცა საქართველო დამოუკიდებლობას აცხადებს, მის დროებით მთავრობის თავმჯდომარედ, ისევ ნოე რამიშვილია არჩეული. შემდეგაც, როცა ის თავის თანამდებობას მის უფროს პოლიტიკურ ამხანაგს, ნოე ეორდანიას აბარებს, ნოე რამიშვილი ასრულებს მეტად საპასუხისმგებლო შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას და საერთოდ, მთავრობაში სარგებლობს დიდი აეტორიტეტით.

აქ საინტერესოა აღნიშნოთ ორი სახელმწიფო მოლგაწის, ნოე ეორდანიასი და ნ. რამიშვილის, ურთიერთისადმი ნდობა, პატივისუმა და თანხმობა, რაც სიკვდილამდე გაგრძელდა. ნ. ამიშვილი უყოყმანოდ ამოუდგა გეერდში ნ. ეორდანიას და ლოიალური თანამშრომლობით მათ დასტოვეს მისაბაძი მაგალითი. უახლოესი თანამებრძოლისა და მეგობრის ღრმა წუხილი სჩანს ნოე ეორდანიას მიერ დაწერილ ნ. რამიშვილის ნეკროლოგიდან, როცა ის ამბობს: „დავკარგეთ დიდი ქართველი, დიდი ამხანაგი... კაცი რკინის აგებულობის, ფოლადის ხასიათის, დაუშრეტელი წყარო ენერგიის, მხნეობის და თავის დადების...“ ეს როდი გახლავთ დიპლომატიური, შინაარს მოქლებული სიტყვები, არამედ მკითხველი გრძნობს, რომ ეს სიტყვები აეტორის ღრმა გულიდან მომდინარეობენ და ისინი გამოხატავენ მათ რეალურ ურთიერთ განწყობილებას.

დამარცხდა დამოუკიდებელი საქართველო, მთავრობა ტოვებს სამშობლოს; უკანასკნელი წუთებია ბათუმში, წუთები იმედების გატრუების, გულგატეხილობის, სევდისა და ბოლმის. ვინც ნ. რამიშვილს მაშინ ნახულობს განკვითრებულია მისი მხნეობით; ემშეიდობება მის მეგობრებს ისე, თითქოს გასასეირნებლად მიდიოდეს და სულ მალაე უკან უნდა დაბრუნდეს. დარჩენილებს აძლევს დირექტივებს და ამნევებს.

უცხოეთშიაც ნ. რამიშვილი აშარმოებს დაუდალავ პოლიტიკურ საქმიანობას. ის საფრანგეთიდან ხელმძღვანე-

ლობს სამშობლოში წარმოებულ ბრძოლებს, რომლის კულტურული წერტილიც 1924 წლის აგვისტოს აჯანყება იყო. აქაც დამარცხდა ქართველი ხალხი და კიდევ ერთხელ გაუცრუვდა იმედები ნ. რამიშვილს, მაგრამ ვერც ამან ვერ გასტეხა მისი უტეხი ნებისყოფა და კელავ ახალი გზების და საშუალებების ძიება დაიწყო სამშობლოს გასანთავისუფლებლად, მაგრამ მკვლელის ტყვიამ აღარ დააკალა მას.

ვერაეკითარება დამარცხებამ ვერ დასცა მისი სული, ვერ გატეხა მისი ნებისყოფა. მხოლოდ სიკედილის წინაშე დაიჩინქა მან, მაგრამ სიკვდილის წინაშე ხომ ტიტანებიც უძლურნი არიან.

ნოე რამიშვილის ხსოვნას

ნოე რამიშვილი ეკუთვნოდა იმ პატარა წრეს, რომელმაც შემოიტანა საქართველოში სოციალისტური და დემოკრატიული იდეა. ჯერ იბრძოლეს იმ იდეისათვის, ხოლო შემდეგ, როდესაც საშუალება მიეცათ განახორციელეს კიბეც.

ნოე რამიშვილმა და მისმა ამხანაგებმა ისარგებლეს რუსეთში შექმნილი მდგომარეობით, გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მეტად რთულ პოლიტიკურ პირობებში; როდესაც გზადაბნეული და თავის მოვალეობას მოშორებული 300,000 რუსის მხედრობა ჯერ კიდევ კავკასიაში იყო და წარმოადგენდა დიდ საშიშროებას სამოქალაქო მშეიღიბიანობისათვის. ამ დროს საქართველო განიციდა დიდ გასაჭიროს, მას მოელოდა განადგურება, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას არ გამოეჩინა, დიდი გამჭრიახობა.

ამ დროს ნოე რამიშვილი იყო ერთი პირველთაგანი, რომლებმაც გადაარჩინეს საქართველო განადგურებას. ის იყო მოუსვენარი, გაუჩერებელი და დაუღალევი პირვება, რომელიც იცავდა საქართველოს ტერიტორიას, რისთვისაც ის იქმნა არჩეული ახლად დაარსებულ დემო-

†

ს ქართველოს სოციალ დემოკრატიული პარტიის საზღვანოერგარეთელი ბიურო, პარიზის სოც. დემ. პარტიის ორგანიზაციის კომიტეტი, „ჩევნი დროშა“-ს რედაქცია, დიდი მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ 1 ივნისს 1981 წელს, ქ. არპაჟონის საავადამყოფოში გარდაიცვალა „ჩევნი დროშა“-ს მთავარი რედაქტორი, ქართული საქმის დიდი მოჭირნახულე კარგი ადამიანი

პ ა ვ ლ ე ს ა რ ჯ ვ ე ლ ა დ ე

(1898 — 1981)

ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ პავლე სარჯველაძის ტოლიკული სიკვდილით დიდი დახაკლისი გახილდა; ის იყო სამშობლოს ძალებით მოსიყვაოულე შეიღია, და მთული მასი ხახგრძლივი სიცოცალის ძაბილზე ის დარჩია შეურიგებელი და უღრუკი ჭინააღმდევობის გამწევი მებრძოლი, ჩევნი ქვეყნის დამცყრობლებისადმი.

განსვენებულმა პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა ღვთია და მამულის წინაშე, და ამიტომ, მისი სახელი დამკვიდრდება იქ სადაც სამშობლოსათვის თავდადებულნი გრისუნებენ.

„ჩევნი დროშა“-ს რედაქცია, ბიუროს და კომიტეტის წევრები ულრმეს მწუხარებით გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის შვილს გიას და მია ოჯახობას ავრეოვე, ჩევნი ულრმესი სამძიმარი პატივცემულ ირაკლი ჯაფარიძეს, რომელმაც დიდი სიყვარულით და ძმური თავდადებით, განსვენებულს წლების განმავლობაში მოუარა.

„ჩევნი დროშა“-ს მომავალ ნომერში, პაელე სარჯველაძის ფართე მოღვაწეობა ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ საქმეში ფართოდ იქნება გაშუქებული.

კრატიული საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ.

რამდენიმე წელი შემდეგ, მან ეს ადგილი დაუთმო მასზე უფროსს საქ. სოც. პარტიის თავმჯდომარეს ნოე უორდანიას; თვითონ კი მოკიდა ხელი იმ საქმეს, სადაც მას ბევრად მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო, შინაგან საქმეებს, სადაც ის იყო მეტად მომქმედი და იშვიათად ენერგიული.

მე გავიცანი ნოე რამიშვილი ბაქოში 1904 წელს, სადაც მე, პეტერბურგში მიმავალმა ნოე უორდანიას დავალებით გავიარე. იქ ერთ დარბაზში იყვნენ თავმოყრილნი ბაქოს მუშები. ნოე დადიოდა მუშებში და ამზადებდა მათ გამოსალბისათვის. ნოემ მე მომცა მისამართები პეტერბურგში ამხანაგებთან, ცენტრალურ კომიტეტში და დამავალა კიდეც, ზოგიერთი ამხანაგების ნახევა, რომლებიც ციხეში იყვნენ ამ დროს პეტერბურგში: ისიდორე რამიშვილი და თოფურიძე.

მალე ამის შემდეგ, მიერთე ტელეგრამა ნოე რამიშვილიან გადასაცემად უორდანიასათვის, რომელიც ჩუქუთის ყრილობაზე იყო გამოწვეული. „მოახსენეთ ობკაშვილისა და ტეკოშვილის სახელითაო“. მე ვიცოდი, რომ ყრილობის კრება დანიშნული იყო ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში, მაგრამ არ ვიცოდი თუ რომელ დარბაზში იყო, (შენობა უზარმაზარია). მიეაყურე ხან ერთ და ხან მეორე დარბაზს; გავიგონე იღზლად, უორდანიას ქართული კილომეტრი ლაპარაკი და მიეაშურე. მართლაც ვნახე ნოე უორდანია და გადავეცი მას ტელეგრამა.

ამას მოჰყენა ჩემი სტუდენტობის დემონსტრაციაზე მონაწილეობა, რომელიც ლევ ტოლსტიოს გრდაცვალების გამო მოწყობილი იყო; იქ ჩემი დაჭრა და გადასახლება სამი წლით.

პეტერბურგში დაბრუნებისას შევიტანე განცხადება; კონკრეტული გამორიცხვების დაშეგებას და უცდილი პასუხს. გამომიძინების სახიომშითოს სათათბიროს სოც - დემ. ფრაქციითან, ნოე რამიშვილს უნდა შენი ნახეაო. მი გაუშურე. ნოემ გამაცნო ჩვენი პარტიული მუშაობის საქმე, მი-

თხრა, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართო. ჩვენი ქროველი ამხანაგები თითქმის ყველა დაჭრილია, რუსობა შეშინებული არიანო და ვერ მუშაობენო. უნდა დაგვავალო და დაბრუნდე საქართველოში, ჩაუდევ სათავეში ჩვენს უურნალს, რომლის გამოშვებას ვაპირებთ თბილისში. მე მივიღე ნოეს წინადადება და ჩვენ ერთად ვავემზავრეთ საქართველოში. ვინაიდნ თბილისში უურნალის გამოცემა გასკირდა მე შეუერთდი ქუთაისის რედაქციას, სადაც ნოე ხომერიე („ხუნხუზა“) ხელმძღვანელობდა, გარდამ რუხიძესა რაუდენ ქურიძე და თენგიზ ულენტის დახმარებით.

მალე თბილისში გამომიძახეს, უურნალის საქმეზე. ამავე დროს, გამწვავდა დავა დუმის სოც. დემ. ფრაქციაში. ჩვენ ქუთაისში დავამზადეთ რეზოლუცია ჩვენი ფრაქციის მხარის დასაქმერად და ეს რეზოლუცია მე წავიღე თბილისის ორგანიზაციის კრებაზე. გზაზე დამხვდენ პოლიციელები და დამიჭირეს. გადამასახლეს ასტრახანში. სადაც მე დავყავი ხუთი წელი. დაგბრუნდი საქართველოში დამოუკიდლებლობის გამოცხადების ექვსი თვის შემდეგ.

ნოე რამიშვილმა და ალექსანდრე ლომთათიძემ გამოიჩინეს ჩემდამი განსაკუთრებული ყურადღება. ნოემ მთხოვა, მეორე დღეს, მივსულიყავი ცენტრალურ კომიტეტში და მიმეღო მონაწილეობა მოწინავე მომუშავათა სხდომაზე და დამემზადებია მათვის მოკლე მოხსენება რუსეთის მდგომარეობის შესახებ. ამ კრებას დაესწრო 25 კაცი, მათ შორის აიოლო, რომელმაც ბევრი შეკითხვები მომტკიცია ნოემ მთხოვა: დამემზადებია ეს მოხსენება და მომეთავსებია ჩვენს უურნალში, რაც დაუყონებლივ შევასრულება.

დიდი, დაუვიწყარი შთაბეჭილილება დასტოვა ჩემზე ნოე რამიშვილმა ჩვენი ქვეყნის დაპყრობის უკანასკნელ დღეებში.

საჩერიდან ჩამოსულმა უკანასკნელი მატარებლით, კავეშურე ამხანაგების სანახვად; განკარგულებების მისაღებად სასახლისაენ, იქნებ ენახო წინმე მეთქი. მართლაც ყველას აქ მოეყარა თავი. მაგიდასთან იჯდა გრიშა ურატაძე, წინ ბონები ეწყო და ურიგებდა შინ დასაბრუნებლად

ამხანაგებს. დამინახა თუ არა მიხმა დაუყონვებლივ და მითხრა გამეგრძელებია მისი საქმე ცოტა ხნით. მეც და- უიწყე და ვარიგე საღამომდე, სანამ სულ არ დავარიგე ჩაც მქონდა. სასახლიდან რომ გამოვედი უკვე დალამებული იყო. წაველი ჩვენების საძხრად, დავინახე იქვე კუთხეში, ციხიდან გამოშვებული ბოლშევიკები, მათ შორის სერიოეა ქავთარაძე, მე აუზეთ გვერდი, ვითომ ვერავინ ვიცანი. შევხდი ერთ ამხანაგს, რომელიც თურმე გვეძებდა მე და სეით დედარიანს. ამ ამხანაგმა წამიყვანა სადღაც ზალაში, საღაც გვიცდიდა ნოე რამიშვილი მე და სეითს. მალე სეითიც მოვიდა. გამოვიდა ნოე, მოგვესალმა რიხიანად, მოგვცა დარიგება და გაღმომცა მე 10,000 მანეთი და სე- ითს 20 ათასი, მე კავშირების ორგანოებისათვის და სე- ითს პარტიის უურნალსათვეს.

ჩვენ ვიყავით ყურებჩამოყრილი, ნოე კი იყო ყოჩალად და კარგად.

ჩვენ დაგვაციწყდა მასთან გამომშეიდობება, მაგრამ ის მოგვეწია კარებში, ჩამოგვართვა ხელი და დაგვემშვი- დობა. არასოდეს არ დამავიწყდება მისი ყოჩალი, ენერგი- ული გამოხედვა და ენერგიული სახე.

განვლონ დრომ კარგად თუ ცუდად, მე ჩამოვედი ლევილ- ში და ვინახულე ჩვენები. ნოემ გამიხმო და ბევრი მელა- პარაკა, რომ არ არის მართალი, რასაც მას ამხანაგები უსაყვედურებენო. ეს ისეთი ამბებია, რაც ყოველ გ დმოხ- ვეწილთა ჯგუფში მოხდება დროგამოშვებითო.

იმ ისტორიულ დღეს მეც კრებაზე მივდიოდი და ვფიქრობდი იმაზე თუ რაზე გვექნებოდა ლაპარაკი. რო- დესაც მიეცდი ზალაში, ვნახე არაჩეულებრივი მდელ- უარება. ხმას ვლარავინ იღებდა, ისე ჩაგვიცარდა ენა სუ- შველის. — გაეგოთ საშინელი ამბავი: ნოეს ტრალიკულად დალუპვა.

მისი დალუპვით ჩვენ ბევრი დავკარგეთ. ის იყო ყვე- ლა ჩვენზე უფრო ენერგიული და მომქმედი, ნამდევილი ეროვნული სახელმწიფო მოლვაწე, რაც სასიქადულო უნ- და იყოს მთელ საქართველოსათვის.

† ზალვა აბდუშელი.

ნოა ჩამიზვილს

გარდაცვალებიდან ოცი წლითაფშე.

წვიმს, წვრილ წვეთებს აპნევს ზეცა,
ზმუის ქარი, იქნევს ტალღებს,
თეთრ ნისლებში ჩაიკეცა
ხმა, სიცოცხლის სიამაყე.
ცამ სიკვდილი შეიხიზნა,
მზე ლრუბლებში სანთლებს ანთებს,
წითელ ქვეყნის ველურ მიზნებს
დღეს მსოფლიო ასამართლებს.
ოცი წელი, ოცჯერ ძნელი,
შემს გარეშე ქართლის ბედი
დანახვედრი, რკინის მკლავით,
გადამწვარი ვით აბედი.
თეთო ამდენმა ბრძოლამ ერთად,
სასიკვდილოდ, სისხლის დენამ,
მჯერა, მჯერა მაღალ ლმერთთან
დიდ ილიას შეგახვედრა.
ერთი რწმენით, ხელ გაშლილებთ,
ერთი ლოცვით მიწა გმცველობთ,
როგორც დედა დაჭრილ შვილებს,
თავს დაგტირით საქართველო.
რა გსურთ მათთან თანასწორებს,
გაიგონე.... დიდო ნოე!
საქართველო არ მომკედარა,
გზა დაუთმო მხოლოდ მკვლელებს.
რამიშვილის გამხდარ ხელებს,
ჩეენი ცოდვა.... ცრემლი აზის,
მისი სული ბრძოლა არის
ტანჯულ კარდუს სილამაზის
ოცი წელი, ოცჯერ ძნელი,
მის გარეშე, ქართლის ბედი,
დანახვედრი, რკინის მკლავით,
გადამწვარი ვით აბედი.

ა. ყიფიანი 1950 წ.

ნოე რამიშვილი

(1881 — 1930)

ნოე რამიშვილი დაიბადა სოფ. სურების საზოგადოების ერთ-ერთ მთავრისან სოფ. დიდ ვანში, იმ დროისთვის დიდსა და საქმაოდ განათლებულ ოჯახში. მამა მისი ბესარიონი (ბესო), ხელობით სახლების ამშენებელი რსტატი იყო და ითვლებოდა სოფლის მოწინავე, წერა-კითხვის კარგ მცოდნე პირად. დედა ნოესი იყო სოფ. შემოქმედში, კარგად ცნობილი მეცნიერის აჯახის წეილი, რომელმაც გამოზირდა 6 ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი. ბესარიონის პირველი ვაჟი ვასილი, იყო მესაქონლე და კარგად მოზრდილი ჯოვი ჰყავდა. მეორე დავითი, ბათუმში კარგად ცნობილი ფერწალი, მესამე ისიდორე, განათლებით კომერსანტი. შემდეგ მოდიოდა ნოე, მეხუთე ანთიმოზი, რომელიც განათლებით ფარმაცევტი იყო. უმცროსი იყობი, სურების საზოგადოებაში განთაქმული ხარაზი. ნოეს და მართა იყო გათხოვილი ს. შუასურებში, ნესტორ ბერიშვილზედ, რომელთაც თორმეტი შეილი გამოზარდეს. და თვით მართა 83 წლის ასაკში შუა აზიაში, გადასახლებაში დაიღუპა; მისი ბედი ხედა ვასილსაც, უფროს ძმას, ისიც გარდიცვალა გადასახლებაში. ისიდორე დაიკარგა უგზოუკვლოდ, სად და რატომ ეერვინ გაიგო. ანთიმოზი, ნოეს მომდევნო ძმა გარდაც ლა 1921 წელს, ბოლშევკების შემოსევის დროს, ჯარიდან მოტანილი ტიფით. მხოლოდ დავითმა დამთავრა თავისი სიცოცხლე თავის სახლში.

პატარა ნოე მშობლებმა მიაბრეს სოფ დიდი ვანის სკოლაში, რომელიც აშენებული იყო მისი მამის მიერ და მასწავლებლად იყო საქართველოში ყველგან ცნობილი მასწავლებელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ისიდორე რამიშვილი, რომელიც სრულიად უფასოდ ეერცულებდა წერაკითხვას; ხსნიდა ბიბლიოთეკებს სადაც კი ხელი მიუწვდებოდა. ისიდორე რამიშვილი ხალხის ის გამანათებელთაგანია, რომელმაც თავისი ხანგრძლი-

ვი სიცოცხლის მანძილზედ საზოგადო საქმეების, წერა-კითხვის გავრცელების, პოლიტიკურ—ეროვნული მუ-შაობისათვის, — დაჭერების და გადასახლებების გამო თავის ლოგინზედ იშვიათად მოუსვენია, რომელმაც თავი-სი პირადი ცხოვრება ხალხის სამსახურს შესწირა.

პატარა ნოეს ამ კეთილმა აღამიანმა თავიდანვე ჩაუ-ნერგა ხალხის და ერის სიყდარული, რომელსაც ნოემ თა-ვის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ემსახურა.

სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ ნოე სწავლას აგრძელებს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, რის შემდეგ ათავებს ქუთაისის სემინარიას.

1901 წელს ნოე მიემგზავრება და შედის იურიევის უნივერსიტეტში იურდიულ ფაზულტეტზე. ეს ის დროა, როდესაც მთელი რუსეთის უნივერსიტეტი გახვეულნი იყენენ რევოლუციონური მოძრაობის აღში. იქ ახალგაზ-რდა ნოემ სულიერი სარჩევო ადვილად იძოვნა და მთელი აჩსებით გადაეშვა ახალ მოძრაობაში; გახდა მთელი უნი-ვერსიტეტის, ერთ-ერთი თვალსაჩინო რევოლუციონერი. ამის გამო მას უნივერსიტეტის დამთავრება არ დასკალდა და დაჭერა რომ თავიდან აეცილებია გამოიქცა საქართვე-ლოში, სადაც მას მუშათა მოძრაობა აღტკინების პერიოდ-ში დახვდა და ის მაშინვე ბათუმში სათავეში უდგება მას, როგორც კომიტეტის წევრი. ხელმძღვანელობს გურიაში ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. მისი ხელმძღვანელობით გურია გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე მხარედ საიდუმლო სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციებისა.

1903 წ. მისი ხელმძღვანელობით იქმნა მოწვეული გუ-რიის არალეგალური ორგანიზაციების მომუშავეთა კონ-ფერენცია. უანდარმერიას ნოეს აქტიური როლი რევოლუ-ციონურ მოძრაობაში არ გამოპარია. მას დაუწყეს თვალ-ყურის დევნება და ის იძულებული გახდა დროებით მო-შორებოდა ბათუმის არემარეს და წასულიყო თბილისში სადაც ის მაშინვე იყო არჩეული ს.-დ. პარტიის კომიტეტის წევრად.

1904 წ. სექტემბერში უანდარმებმა მას კიდევ მიაგნეს; დაპატიმრეს და ერთით გაგზავნეს ბათუმში, როგორც

იქაური ორგანიზაციების შემქნელი ორგანიზატორი. გზაში ნოე მატარებლიდან გადმოხტება და იმავე წლის ოქტომბრის ბოლოს შას ვხედავთ დონის როსტოვში, სადაც გახაგძობს იხტესიურ მუშაობას I. დ. ორგანიზაციებში.

1905 წ. დასაჭყისში ის ბრუნდება თბილისში და ქორწილდება ბარო გოგიაშვილის ასულზე, რომელიც იყო რევოლუციონერიდ გაწყობილ ოჯახის შეილი. მაროს ძაბარო გოგიაშვილი იყო ცნობილი მხატვარი.

ნოე რაში შვილი საქართველოში უდგება ს. თავეში ს.-დემოკრატიულ პარტიაში, ბოლშევიკური ფრაქციის წინააღმდეგ ბრძოლას, რაღაც ბოლშევიკები, იმ ხანებში, დაადგეხ ტერორის, ექსპროპრიაციის და ექსცეციების ტაქტიკას.

რეაქციის პერიოდში ის ნ. ჟორდანიასთან ერთად რედაქტორობდა პარტიულ გამოცემებს: „სოციალ-დემოკრატია“ და სხვ. რ. მოდეხვერშე იქნა დაკერილი და გადასახლებული, მაგრამ ის ყოველთვის ახერხებდა გამოქცევას და გადამალვას.

ნოე ითვლებოდა დიდ ორგანიზატორად; მას მიპქონდა მომავალი თავისუფლების იმედი და გამარჯვების ჩრდენა ორგანიზაციებში. გაჭირვების დროს, ის უთუოდ, დიდი გაქანების პოლიტიკური მოღვაწე იყო; ის ყოველთვის ნახავდა კარგ გამოსავალს, ამიტომ მისი ნეიტრალიზაცია ცარიშმის ჩეკიმის ვერ მოახერხა; ის ყოველთვის იქ ამოყოფდა თავს სადაც საჭირო იყო.

1907 წ. ბოლოს ნოე მიემგზავრება გერმანიაში და შედის ლეიპციგის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. გერმანიაში ნოე ეცნობა იქაურ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, მათ თეორეტიკოსებს და შეუდგება საქართველოს სოც.—დემოკრატიულ პარტიის პროგრამის პროექტის წერას.

ცნობილია რომ, 1908 წ. შეეიცარია წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნებათა პოლიტიკურ დევნილთა ყველაზე აქტიურ პუნქტს. იმ დროს იქ იყვნენ: გ. პლეხანოვი, მარტოვი, ლენინი, ზასულიჩი, აქსელროდი, ლუნაჩარსკი, ჩიხერინი და მთელი ცენტრალური კომი-

ტეტი ს. დ. პარტიისა, მცირე გამოკლებით, რომლებიც
იყვნენ დაპატიმრებულნი ან გადასახლებულნი.

რადგან ბოლშევიკებმა მთელი მუშაობა გადაიტანეს
ტერორზედ, ექსპროპრიაციაზედ, და ექსცესებზედ პარ-
ტიაში შეირყა დისიპლინა, დაცუა მოჩაღი, გაიზარდა
ქურდობა—დაცუმები, ძარცვა და კერძო ნიადაგზედ ან-
გარიშის გასწორების შემთხვევები შენიღმული პარტიის
სახელით, იმატა მკვლელობამ შეუჩინდების ნიადაგზე,
პარტია შეებრძოლა ამ უწესობების; გამოეცხადა ბოკოტი
ამ აქტების ჩამდენთ, ისინი აეტომატიურად იყვნენ პარ-
ტიიდან გამორიცხულნი, რაც კაცების სოც.—დემ. ორგა-
ნიზაციებმა პირნათლად შეასრულეს, ხოლო რუსეთში,
ამ მიმართულებით, ბოლშევიკებმა ლენინის მეთაურობით
შეიტანეს დეზორგანიზაცია და შევიცარიაში ეს საკითხი
გახდა პარტიის ცენტ. კომიტეტის თავსატეს საკითხად —
მარტოვის და ლენინის მიმღინარეობათა შორის.

რადგან 1908 წლის, მარტო ერთ თვეში, ურთიერთ ან-
გარიშის გასწორების პარტიის სახელით, ფულის გატ-
ცების და მკვლელობის შემთხვევები ავიღა 360-დე,
რომლებიც პარტიულ მოქმედებად სალდიბოდა და ყველა
ეს იწვევდა სასტიკ რეაქციას ს. - დ. პარტიის წინააღმდევ;
რეაქცი არაფერს ერიდებოდა. ყველა ამ უწესრიგობამ
ფართო იდეური მუშაობა პარტიისა გახდა შეუძლებელი.
ამიტომ ცენტ. კომიტეტის წევრებმა მოითხოვეს ამ სა-
კითხის დაუყონებლივ განხილვა, რის ნიადაგზედ მოხდა
მარტოვ ლენინის დაპირისპირება. და მოთხოვნილი იქმნა
ცენტრ. კომიტეტის დაუყონებლიც შეკრების აუცილებ-
ლობა.

მარტოვმა იცოდა რომ იმ დროს გარმანიაში იყო ნოე
რამიშვილი (პეტრე) და ტელეგრამით სთხოვა აუცილებ-
ლად ჩემოსულიყო კომიტეტის სხდომაზედ. მარტოვმა
ისიც იცოდაა რომ პეტრემ ბათუმში, ამ საკითხებზე დის-
კუსიების დროს დამარცხა სტალინი და ის იძულებული
გახდა დატოვებისა საქართველო, რაც შემდევ სტალინმა
ეს საქართველოს არ აპარივა და შავად გადაუხადა.

6. რამიშვილის ჩასვლისთანავე გაიხსნა ცენტ. კომიტეტის

სხდომა. დაიწყო ღისკუსიები. უშედეგოდ დამთავრდა ლენინის, მიკაჩის (კრასინი) და ტეშეოს ცდები ნოე რამიშვილის მიერ წამოვენებული არგუმენტების გასაბათილებლად. ნოეს მიერ მოტანილი ახალი ელემენტები მათვის მოულოდნელი გახდა. ის არ ჰგავდა ჩიჩერინის მიერ მოტანილ ცნობებს, რომელსაც არც მაგალითები და არც საბუთები არ აღმოაჩნდა, მაშინ როდესაც 6. რამიშვილმა, მთელი სივრძე სიგანით დაახასიათ, ბოლშევკური მეთოდების გამო შექმნილი მდგრამარეობა მთელი რუსეთის მძღრიაში და განსაკუთრებით კავკასიაში, ს. დაც ორგანიზაციები მიიყვანეს ბანდიტიშმამდე და, შეიტანეს. ორგანიზაციებში დემორალიზაცია, არაც რეაიმს მისცა საბაზი გაეათეს ცეცხალი რეპრესიები პოლიტიკურ მომუშავეთა წინ აღმდეგ. საილუსტრაციოთ მოგვყავს 6. რამიშვილის ამ განცხადების ამონაწერი ცენტ. კომიტეტის სხდომაზე:

„მე თქვენ გარშემუნებთ, რომ ჩვენ არ ელაპარაკობთ რაიმე ინტერესით, რომ ყველა ეს აქტები: დაცუმისა, ექს-რომის ციისა ძალციისა და ანგარიშის გასწორებისა არ

1494

9pm 16th, 25th 19th

Informations- und Kommunikations- und Technologien im Kontext der Bildung

მოდის პარტიის დაბალი საფეხურიდან, არამედ პარტიის შალალ იხსტახციებიდან, და პასუხისმგებელ პირებიდან, როდელებიც ითვლებია ჟევრებად ჩვეხი პარტიის ბოლშევიკული ფოაქციისა. მე ძირდა მოგახსეხოთ რომ შეუტე-დავად ჩვეხი გვლისტევილისა, ეს აკტები, ჩადენილი ამ ძირათულებით იყო ბრძახებული დაღლიდან. გარდა ამისა, ჩვენ ადგილობრივ არ ვაკეთებოთ იარაღს იმ სისტემისა როდელსაც ისინი ხდარობენ. დოკუმენტებით არის დამტ-კიცეოული, რომ ის იარაღი ჩვენზე მოდიან პეტერბურგი-დას ფიხტოს გზით“.

მთელი კომიტეტი კრიჭა შექრული დარჩა. ლენინმა ნოეს არგუშებტას უსაფუძლობის დასამტკიცებლად ითვიქრა რომ შას არ ჰქონდა ცნობები იმ პირთა, რომლე-ბიც ბოლშევიკური ფრაქციის სახელით, კავკასიაში აწარმოებდნენ ტერორისტულ აქტებს და მოითხოვა მათი სია, და როცა რაბიშვილმა სრულიად დამშვიდებით წაი-კითხა გვარები: კოტე ცინცაძე, სტეპან ინწკირველი, ვა-ხო კალანდაძე, ტერ-პეტროსიანი (კამო), და დაუმატა რომ ზველი, ისინი იყვნენ სტალინის ბრძანების ქვეშ, ლენინი გაცეცხლებული ზეთ წამოხტა და თხოვა რამიშვილს რომ არ გმოიმუდონს გვარი ამ უკანასკნელის, ნან წყნარად უბასუხა: „მე არ ვფიქრობ გამოვამეღვანო ვინმეს ვინა-ობა, მაგრამ ერთი ცხადია, რომ მას მთელი კავკასია კარ-გად იცნობს როგორც კავკასიელ ლენინს“. რის შემდეგ, ლენინი სრულიად დამარცხებული მიმართავს ნოეს: „დარ-წმუნებული ხართ ამხ. პეტრე რომ ეს გვარება არ იქნე-ბა ცნობილი პოლიციის მიერ?“ „ათასჯერ და ათიათას-ჯერ, რადგან ჩვენ არა ვართ დაჩვეული ვინმეს დასმენის, ისე როგორც თქვენი ფრაქციის წევრებს ჩვევიათ.“ უპა-სუხებს ნოე.

რის შემდეგ, ს. დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, დიდი უმრავლესობით ადგენს, რომ აკრძალული იქმნეს ყოველგვარი ტერორისტული აქტები, ექვმდებარებით და ექსცესები, რომლებიც არალეგალურ პირობებში, მი-უხედავად ხანდისხან მისი აუცილებლობისა, შეუძლებე-

ლი ხდება მათი კონტროლი, უროსლისოდ ტერორი ხდება ინერციულად, კერძო ინტერესების დამაკმაყოფილებელი საშუალება. ტერორისტული აქტები დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში როგორ მისი კონტროლი შესაძლებელი ხდება და ის არის დადგენილი საერთო ეოვნული ინტერესების დასაცავად, წინააღმდეგ ზემთხვევაში, ის ხდება იარაღად ჩვენი საქმისათვის მიენჯ ელემენტებისა”.

ნ. რამიშვილი არ იყო ტრიბუნი, მაგრამ არგუმენტების მოყვანის ყველაზე უფრო გამომყენებელ ორატორად ითვლებოდა და ამით ყველაზე უფრო დამაჯერებელი. მისი არგუმენტები, მაგალითუბი, ფაქტები და ღოკუმენტები ზღვის წარმოადგენდა. ამითომ ის, იგივე სიმტკიცით და ძლით დაატაკა ლენინს, როგორც სამი წლის წინ სტალინს ბათუმში.

1910 წელს, ნოე რამიშვილი გურიაშია და ესწრება ს. ხიდისთავში მოწვევულ არალეგალურ პარტიულ კონფერენციას სადაც ის აკეთებს ვრცელ მოხსენებას ეროვნულ საკითხზე.

რ გასულა ორი თვე რომ ის დაპატიმრეს და ეტაპით დონის როსტოვში გადასახლეს, სადაც ის უდგება სათავეში, იქ მაშინ საქმაოდ დიდ სოც.-დემ. ორგანიზაციას; ქმარება ყველა იქ გადასახლებულ პოლიტიკურებს.

როსტოვში ის მუშაობს ერთ-ერთ სასოფლო სამეურნეო იარაღის მაღაზიაში. ჩაიყვანა იქ ცოლშვილი და მის მეუღლეთსნ ერთად, მისი პატარა ბინა ხდება ლტოლვილთა თავშესაფარი.

1913 წელს, ის მიდის პეტროგრადში და იწყებს მუშაობას პარტიის ცენტრალურ ორგანიზაციებში, პრესაში და სათათბიროს სოც.-დემ. ფრაქციაში.

ნოე რამიშვილი, ყოველთვის როგორც ნოე ეორდანია ან დაპატიმრებული იყო, ან იმალებოდა, ან ევროპაში მიდიოდა, მისი შემცველელი იყო და ნოე ეორდანია მას ენდობოდა როგორც თავისთვეს. აღსანიშნავია: ნოე ეორდანია სოციალისტური მოძრაობის დიდი თეორეთიკოსი; დიდი პუბლიცისტი და საქართველოს დამოუკიდებლობის

უპეკვიანესი კალატოზი, ნოე რამიშვილთან, მათი გაცნობის დღიდან ერთად მუშაობდა.

სამაგალითო იყო რომ მათ ურთიერთობაში დაწყებიდან ბოლომდე სრული პარმონია არსებობდა და იძლეოდა შთაბეჭდილებას, რომ ეს ორი ადამიანი ერთი გულით ცხოვრობდა, ერთნაირად გაფლენთილი სამშობლოს და ქართველი ხალხის სიყვარულათ. წაიკითხეთ ნ. რამიშვილის კაბიტალური ნაშრომის „ისტორიული მატერიალიზმი“-ს წინასიტყვაობა ნოე ერთ-დანისას მიერ დაწერილი.

ნოე რამიშვილი იყო ს. დემ. პარტიის ყველა უმაღლესი ორგანიზების აჩქეული წევრი. ის იყო თბილისის ქალაქის თვეთმართველობის ხმოსანი, რუსეთის ს. ღ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის წევრი. მსოფლიო ომის დროს ის იყო პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი და პარტიული ცენტრალური ორგანოს რედაქტორი. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ის არის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დაპუტატთა საბჭოს წევრი, რუსეთის დამფუძნებელ კრების დეპუტატი. შემდეგ ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქ. ეროვნულ საბჭოს და საქ. დამფუძნებელი კრების წევრი. დამოუკიდებელ საქართველოს პირველი მთავრობის თავმჯდომარე. შემდეგ მისი განათლების, სამხელო და უცელელი შინაგან საქმეთა მინისტრი.

მისი განათლების მინისტრობის დროს გ. იხსნა საქართველოს უნივერსიტეტი. გაიხსნა საშუალო და დაწყებითი სკოლები. მისი ხელმძღვანელობით, ფოსტა - ტელეგრაფ ტელეფონით საქართველოს ყოველი კუთხე იქმნა დაკავშირებული ერთი მეორესთან.

მისი ორგანიზატორული ნიჭის და რეინისებური დისკაპლინის საშუალებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მშეიქმნა და შეუდგა დამოუკიდებელ სახელმწიფოს შენებას; საქართველო მიიღნივ გახდა აულებელი ცხე - სიმაგრე, მაგრამ რუსეთის პოლშევიკური რევიმის მუხანათურმა სისტემამ ვერ აიტანა პატარა საქართველოს მშეიქმნა დემოკრატიული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა და ომის გამოუცხადებლად, რამდენიმე მოღალატე ქართველებთან ერთად ბოროტად თავს დაესხა

ჩეენს ქვეყანას და 6 კვირის თავდადებული ბრძოლების შემდეგ, მთავრობა იძულებული გახდა, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილების თანახმად დაეტოვებია, გარეშე მტრების უხეში ძალის მიერ დაპყრობილი სამშობლო და გახიზნულიყო უცხოეთში ბრძოლის გასაგრძელებლად.

ნოე რამიშვილი, საფრანგეთში ჩამოსკლისთანავე უდება საქართველოს განთავისუფლებისათვის მუშაობას მოელი თავისი ენერგიით.

მაგარამ საქართველოს მტრებს არ სძინავდა; მათ მიერ მოსცდულმა ბოროტმა ხელმა, 1930 წლის 7 დეკემბერს, ლანჩულად დამალულმა, ჯებირს ამოფარებულმა, ტყვით სამუდამოთ შეაჩერა, მისი სამშობლოსადმი სიყვარულით გაყლენთილი გულისცემა.

ნოე რამიშვილის მკელელის პროცესი გახდა საქართველოს მტრების პროცესად, მისი მკვლელი იქმნა დასჯილი 10 წლის პატიმრობით და 20წ. გაძევების სასჯელით. ნოე რამიშვილის ხსოვნა კი, პროცესიდან გამოვიდა გაბრწყინვებული და შარავანდედით მოსილი; მსაჯულებმა დაადასტურეს, რომ ასეთი ადამიანის დროშა წმინდა დროშაა. ამნაირად ნოე რამიშვილმა საფლავიდანაც კი განავრდო ჩეენთვის ბრძოლა; მისი განვლილი მღელეარე სწორი გზა ჩეენს წმიდა საქმის ემსახურება.

დე, საქართველოს მტრებმა იცოდენ რომ მისი ნათელი საქმე ბოროტობის მძლეველია!

მისი პროცესით საქართველომ და მისმა ერთგულმა მეგობრებმა გამოცდა დაიჭირეს.

ნოე რამიშვილის სახელთან ერთად შედუღდა ქართული საქმე და ქართული სახელი, და ორივე ერთად გამოვიდნენ გამარჯვებულნი.

მ. ბერიშვილი.

[I] = [I]

შემოკლებული ცნობები თუ როგორ გამოეხმაურა უცხოეთის პრესა ნოვე რაგიშვილის, დიდი ქართველის მკვლელობას.

6. რამიშვილის ტრალიკულად დალუპვამ უცხოეთის, და კერძოდ საფრანგეთის პრესაში, გამოიწვია დიდი აღელება და აღშეთვება; მოთავსებული იქმნა მრავალი წერილები, სადაც სამძიმარს უცხადებდნენ საქართველოს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარეს და განსვენებულის ოჯახს.

ამხელდენ და დაწერილებით აღწერდენ. თუ როგორ მუხ ნათურად ბოლშევიკური რუსეთი თავსდაესხა პატარა ახლად აღორძინებულ საქართველოს რესპუბლიკას, რომელიც იცნო თვით კომუნისტურმა რუსეთმა და დასდო მასთან საზაფო ხელშეკრულება.

უცხოეთის პრესაში ნოე რამიშვილი იყო აღწერილი, როგორც უდიდესი მებრძოლი პატრიოტი საქართველოს ძალით წართმეულ უფლებების აღსადგენად. ნოე რამიშვილმა ამცნო მსოფლიოს - სწერდენ მ შინდელი გაზეთები, რომ რუსეთში ბატონობს დიქტატურა ხმლითა და მახვილით, სადაც ხალხის დასამორჩილებლ დ იქრძალება თავისუფალი სიტყვა, თავისუფალი მწერლობა, თავისუფალი კრება დ იდევნება ყველა აზრი გარდა კომუნისტური იდეოლოგიისა. მართალია, კომუნიზმა წამოიყენა ე. წ. საბჭოთა სისტემა, რომელიც არჩევნების ძ ლით ქვეყნის სათავეში მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები დგებიან, მაგრამ ეს სინამდვილეში ვულუბრყვილოთა მოსატყუებელი საკენკია. დანამდვილებით არ არსებობს არ კითარი არჩევნები. კანდიტატების წამოყენების უფლება მხოლოდ მთ კრობის პარტიის ეძლევება, მთელი ქვეყანა მოკლებულია თავისუფალ პრესას,, თავისუფალ აზრს, თავისუფალ მოქმედებას და შეუძლიან მხოლოდ მოიწონოს მათი მთავრობის საქმიანობა და მისცეს ხმა მის აგენტებს.

ეს არის დიქტატურა არა მუშათა კლასის, არამედ საბჭოთა მოხელეთა მუშათა კლასზე. ის არ არის არც სო-

ცალისტური, არც ფედერატიული, არც რესპუბლიკა-ნური, ის არის მხოლოდ და მხოლოდ ტირანიული; აი რუ-სეთის ნიშანდობლივი ფორმაო; — ასეთ გაფრთხილებას გვ ძლიერდა, ჩვენ ევროპიელებს ნ. რამიშვილიო, დასხენ-დნენ აქაური გაზიერები.

ეროვნულ მთავრობამ, პარტიამ და ოჯახმა მიიღო უაჭ-რავი სამხემრის გ. მომხატველი დეპეშები თუ წერილები, უკელა უცხოეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოებიდან, რუსულ ემიგრაციის სოციალისტურ პარტიებისაგან და გა-მოჩენილ უცხოელ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეები-საგან.

დადგა დრო საქართველოს ულირსი შვილის მკვლელი ჭანულების გასამ. რთლებისა. პროცესმა რამოდენიმე დღე გასტანა. საფრანგეთის პრესამ დიდი დავილი დაუთმო ამ პროცესს და იძლეოდა დაწვრილებით ანგარიშებს, მთელი პრესა კიცხავდა მკვლელს და მმობდა რომ ის იყო ბრძანი იარაღი ბოლშევიკების აგენტებისო. ერთად ერთი გაზეთი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ორგანო „ჟუმანი-ტე“ იყო რომ იცავდა მკვლელს, მისი დაცვა დააკისრეს მათ ცნობილ ვექილს, კომუნისტს ანრი ტორესს, რომელმაც არამც თუ დაიცვა ჭანულები. არამედ ბრალი დასდო ჩვენს ეროვნულ მთავრობას, მთელს პოლიტიკურ ემიგრა-ციის, და მოითხოვა ყოველგვარი, პოლიტიკური მუშაო-ბის აკრძალვა მათვის და მკვლელის განთავისუფლება.

ნოე რ. მიშვილის ოჯახის იტერესებს იცავდა არა ნაკლებ ცნობილი დიდი ვექილი წორო დე ჯასფერი, რო-მელმაც დაუსურათა სასამართლოს ჯერ ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩადენილი ვერაგობა საქართველოს მიმართ, და შემდეგ, დაუშვებელი ლაბირული მკვლელობა ამ ქვეყ-ნის დიდი შვილის, რომლის განაშაული ის იყო, რომ იბ-რძოდა საქართველოს დამპურობლების წინააღმდეგ და მოითხოვდა საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანას და დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას.

სასამ. რთლომ ჭანულების მიუსაჯა მაქსიმუმი, 10 წ. ციხე სასტიკი იზოლაციით, არასდროს არ მომხდარი საფ-რანგეთის სასამართლოს ანალებში, (საფრანგეთის დიდი

ტრიბუნის ეთარესის მკვლელი გაანთავისუფლეს), როცა პროცესი ატარებს პოლიტიკურ მკვლელობის ხასიათს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჭანუყვაებემ ციხიდან მონანიების წერილი მოიწერა და სწყველიდა ყველა მათ ვინც ეს საქმე ჩაადენიეს. ის პატიმრობაში ჭკუაზე შეიშალა და ციხეში გარდაიაცალა. ასე გა: თავა სამშობლოს საძარცხევინო შეილმა მისი სიცოცხლე, რომლის ტყვეიამ იმსხვერპლა პატარა საქართველოს დიდი მინისტრი (როგორც მას შეარქეეს), მოღვაწეობით თვალუწვდენელი ნოე რამიშვილი.

[I] = [I]

გოგი ნაკაშიძე.

ჩ ე მ ი მ ო გ ო ნ ი ბ ა

დამოუკიდებელ საქართველოში, ნოე რამიშვილს ორჯერ თუ სამჯერ შეხვდი. ერთხელ ჩემი დის ბინაზე; ქ-ნი მარო და ჩემი და, იმ სკოლაში სწავლობდნენ, რომლის გამგედ ქ-ნი ლიდა ცინცაძე იყო. აქედან მათი დამცგობრება.

ჩემი გადმოსახლების შემდეგ, საქართველოს საელჩოში რაღაც საკითხის მოსაგვარებლად შევიარე. პევრი ხალხი იყო იქ მოგროვილი. საელჩი არ იყო გაუმტებული ჯერ კიდევ. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ნოე რამიშვილი. შევიდა ელჩთან. გამოჟიდნენ ლადო ახმეტელი და ნოე. ლადომ გამოაცხადა, რომ ოცი წუთის შემდეგ გაიმართება სოც.-დემოკრატების კრებაო.

ნოემ დამინახა, მოვიდა ჩემთან, მომესალმა და მითხრა: „ბ-ნო გოგი! თქვენ შეგიძლიათ დაესწროთ და მოისმინოთ თუ რაზე გვევნება ლაპარაკი ამ კრებაზე, ჩენს პარტიას დასამალავი არავისგან არაფერი არ აქვსო“. მე დიდი მადლობა გადაუზადე და დავემშვიდობე.

უკნასენელად შევხვდი ნოეს გარშავაში, ის და სოსიკო მდივანი ჩამოვდნენ. კოტე იმნაიშვილი და მე ქართულ

ქომიტეტში ვიყავით. კოტეს უნდა წაეყვანა ნოე ერთ ჩვენი დიდი მეგობარ პოლონელის ოჯახში. მოვიდა ნოე, ჩამოჯდა ჩვენთან. დავიწყეთ საუბარი. უცებ ნოე მექითხება: „რას იტყვით გოგი, იმ აურზ. ურზე რომელიც ემიგრაციის წევრებმა ასტებს, კომუნისტურ პრესაში გამოქვეყნებულ ნოე ქორდანის და ჩემი წერილის ვამო?“ მე ჩემი აზრი დაუფარავდ მოვახსენე. გაიმართა კამათი. გაგრძელდა; კოტე ნერვიულობდა. ბოლოს მან ვერ მოითმინა და მიმართა: „მ-ნო ნოე, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ჩვენი პოლონელი მეგობრის ოჯახი გველის სადილზე ორი საათისთვის, ახლა უკვე სამის ნახევარია. თქვენ თუ აძყევით გოგის, მაგას შეუძლია დაღამებამდის ილაპარაკოს და არ დაიღლება“ მ. ნოეს გაერინა, წამოდგა და გამომშვიდობისას მითხრა: „დამიჯვერეთ გოგი, ამას გულწრფელად გეუბნებით: „მე ყოველ ქართველს დაწყებული ჩვენი მთავარსარდალით, გენ. კვაინიტაძით და აქაური ოპოზიციის სულის ჩამდგმელით, პოლკ. კანდელაკით გათავებული, პირველი გვერდში ამოულდებოდი და უბრალო ჯარისკაცად გავყვებოდი, თუ ისინი მოახერხებენ და უკეთეს გზას გამონახაენ საქართველოს გასანთავსულფლებლად, მანამდის კი ხელს ნუ გვიშლიან“.

მჯეროდა, რომ მისი სიტყვები უბრალოდ გამოთქმული არ იყო, რადგანაც უკვე გაგებული მქონდა, რომ ნოე რამიშვილმა რამოდენიჯერმე მოსთხოვა პრეზიდენტს და სოც.-დემოკრ. პარტიას, ჯერ კიდევ 1924 წ. აჯანყებამდე, რათა ის გაეშვათ საქართველოში ხალხთან ერთად დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლში მონაწილეობის მისაღებად.

ჩვენი ჩამოსელა პარიზში და ნოე რამიშვილის დასაფლავებაზე დასწრება ჩვენდა სრულიად მოულოდნელად მოხდა. დასაფლავების წინა დღეს, სოსიერ მდივანს, ვასო დუმბაძეს და გენ. ზაქარიაძეს გადაეწყვიტათ ჩემი და კოტე იმნაიშვილის გამოგზავნა პარიზში. მიგვიწვიეს ჯავამოგვიცხადეს: თქვენ ამ ღამესიც უნდა გაემგზავროთ პარიზში. კოტე ილაპარაკებს, პოლონეთში ქართულ

ქოლონის სახელით და შენ კი ჩვენი პარტიის სახელით, მე უკვე ამის შესახებ დეცემბრით ვაცნობე სამსონ ფირცხალავის — მითხა სოსიკო მდივანმა.

წამოვედით, ძლიერ მოუსწარით; ნოეს ნეშტი უკვე გადმოსვენებული დაგვხედა. ერთი ფრანგი მეგობარი გამოსახოვარ სიტყვას წარმოსთქვამდა. კოტე და მე მივედით კოწია საბახტარიშვილთან სიტყვის ნებართვის მისაღებად. უარი გეითხერა, ამოილო სია და გვაჩვენა; აუარებელი უცხოელი მოლაპარაკე იყო უკვე ჩაწერილი და დრო მეტად მცირე იყო დარჩენილი. მე დაცემორჩილე მის გადაწყვეტას და ჩამოვშორდი. კოტე მასთან დარჩა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ჩემთან კოტე, ისევ მიმიყვანა საბახტარიშვილთან, რომელიც მე არ მიცნობდა და მან მითხა შემდეგი: „კოტეს დაუინებითი მოთხოვნით გაძლევთ ორივეს სიტყვის თქმის უფლებას, მაგრამ მხოლოდ ორი წუთი უნდა ილაპარაკოთ. ყმაწყვილო, მე თქვენთან ვიდგები და თუ ორ წუთს გადააცილებთ მოურიდებლად სიტყვას გაგაწყვეტინებოთ“ მოვიდა დრო ჩემი სიტყვისა, სიტყვა დავიწყე. სასტიკი გაფრთხილება მე სრულიად გადამავიწყდა; ეტყობა, განსვენებულ კოწიასაც დაავიწყდა ...

ნოე რამიშვილის დათვლავებაზე წარმოთქმული ბ-ნ ნაკაშიძის გამოსახოვარი სიტყვა ისე რწყელი, ამაღლევებელი და შინაარსიანი იყო, რომ დამსწრე საზოგადოება დიდათ მოხიბლა.

რედ.

6. ჩამიშვილის ასი ჭლისთავზე.

ყველა ისტორიული, ეროვნული თუ რელიგიური საზეიმო თუ სამგლოვიარო, ჩეენდა საუბედუროდ უფრო ხშირად სამგლოვიარო ვიდრე საზეიმო დღეების მოვონების წუთებში ყველას გვიპყრობს და უნდა გვიპყრობდეს მხოლოდ ერთი, ერთად - ერთი ფიქრი, ღმერთივით. სამპიროვანი: პირველი პირი ჩვენი ლვილური ფიქრისა ეკუთვნის,

და უნდა ეკუთვნოდეს ჩვენ სამშობლოს; მის წარსულს, მის აწმყოს და მის მომავალს.

მეორე პირი ჩვენი ღვთიური ფიქრის ეკუთვნის სამშობლოსათვის გულგანგმირულ საქართველოს დიდ მინისტრს ნოე რამიშვილს, რომელსაც აქაური ჟამიერი, ჩვენდა სამარცხვინოდ, ადრე ძალით დაუსრულეს, რომელსაც აღარ აღირსეს მშობლიურ მხრეში, მშობლიურ ტკბილ არეში, მამა-პაპათა აკლდამებს შორის მისი ტანჯული სულის დასადგურება, აღარ აღირსეს ამ დიდ ქართველს, აღთქმის მხარეში, ფიჭვ-ნაძვნარებში, ზერებში და ყანებში დალლილ ფეხების დაბიჯება.

მესამე უკანასკნელი და მთავარი პირი ჩვენი ღვთიური ფიქრის ეკუთვნის და უნდა ეკუთვნოდეს ყველა იმათ, ეინც საკაცობრიო, კუთ-კაცურ სიყვარულში, ძმობა ერთობა და თავისუფლების გრძნობები სანთლის კელაპტარივით ჩამოუქნიათ იქ დედა - საქართველო, დიდქორნისული, ლეგენდარულად დედა-ხეთისად წილად დებული, ისტორიულად, წმიდა ნინოს მიერ გაქრისტიანებული, დაცითებისა და კონსტანტინების, აჯანყებულ გმირთა ზღვა სისხლით დაცული, თამარის ნიჯითა და ეშხით გალამაზებული გამშვენიერებული, ხოლო შოთას, ილიას აკაკის, ვაკეს, სამთავრე ნოეს და სხვათა მრავალთა სულმნათთა მიერ, ერთ მთლიან სულიერ ფასკუნჯად ქცეული, „ერი გულადი, პურადი, სტუმართმოყვარე.“

„დიდება! ზეცით კურთხევა!.. დიდება ყველა სამოთხეს!.. ტურფა მხარესა...“

ამ სიტყვებით, ერის მხურვალე გულიდან ამონახეთქი სიტყვებით ვესალმები და ვეთაყვენები ჩვენი სამშობლოსათვის დიდი წამებული ნოე რამიშვილის ხსოვნას და ამავე სიტყვებით ვაკოცებ და მივუალერსებ ყველა დუტუმეგრელის პატარა ქართველებს, კავკასიის მთების შეილთ. ამინ!

ს. ბლიაძე.

ბიძაჩემი ნოე რამიშვილი

ბიძაჩემის, ნოე რამიშვილისადმი მიძღვნილ ამ სამგლო-ვიარო „ჩეტნი დროშას“ გვერდებზე მსურს ცოტა რამ გა-ვიხსნო: როგორი იყო ის ოჯახში და მის კერძო ცხოვრე-ბაში. ბევრი რამე აქვს დედა ჩემს ჩემთვის ნაამბობი და ზო-გიც ჩემს ბაეშვილიდან მახსოვ.

მინდა ჯერ გითხრათ თუ როგორ გახდა ნოე რამიშვი-ლი ბიძაჩემი.

ბებია და ბაბუა ჩემები დედიდან, დარო და ივანე გოგიაშ-ვილები ცხოვრიბლენენ მთაწმიდაზე ერთს პატარა საკუ-თარ სახლში. მათი ოჯახი ცნობილი იყო ბევრ მოწინავე საზოგადო მოღვაწისათვის. ოთხმოცდაათიან წლებში აქ უცხოვრია ცნობილ მოღვაწეს იოსებ იმედაშვილს, ვაჟა ფშაველას, როცა ის ქალაქში ჩამოვიდოდა.

შემდეგში, როცა ეროვნული მოძრაობა გაჩაღდა გოგი-აშვილების კარები ღია იყო ყველა პოლიტიკურ დევნილ-თათვის. ბევრს შეუფარებია თავი ამ ოჯახში: ვლასა მე-ლაძეს, ბენია ჩხიკვიშვილს, ნოე რამიშვილს და სხვებს.

ივანე გოგიაშვილი ხელობით კარგი მზარეული ყოფი-ლა და უმსახურია მეფისნაცვალთან უფროს მზარეულად. მე რომ მახსოვე ის უკვე პენიაზე იყო. ივანე, და დაროს ჰყაუდით თოხი შვილი: სოფია დედაჩემი, ნინა და მარო, ვაჟი ანტონი, ცნობილი მხატვარი. ანტონ გოგიაშვილს იყუთენის ვაჟა ფშაველას „ბახტრიონის“ პირველი გამო-ცემის დაურათება. დედამ მიამბო: მარო ლამაზი და კიკ-ლუცი ქალიშვილი იყოო. ნოემ, ასაკერძეველია შენიშნა მარო და მოეწონაო. მან უფრო უხშრა ოჯახში სიარუ-ლიო, ნოე მართლაც მოხდენილი, ლამაზი ახალგაზრდა იყო: შეხედვით მაღალი, გამხდარი — მუდამ ლამაზად ჩაკ-მული, მუქი კოსტუმი, თეთრი გაკრანმალებული პერანგი თავის გალსტუქით. მე სხეანაირ ტანსამოსში ბიძაჩემი არ მახსოვე. მის მეგობრებსაც შეუმჩნევიათ ეს და ნოე წაუქეშებიათ. მაროსაც მოსწონებია ის და სულ ცოტა ხან-ში გახდა ის გოგიაშვილების სიძე.

ნოესთვის ოჯახის შექმნა ადგილი არ იყო. სულ მალვაში და გადასხლებაში გაატარა მან მისი ახალგზრდობა.

ნოეს და მისი ამხანაგების დამალვაზე კიამბომთ დედაჩე-
მის ერთ ნაამბობს: დედა, როგორც ფერშალი მუშაობდა
თბილისში ერთ გემანელ ხირურგთან, მეიერთან და დიდი
ნდობა ჰქონდა ჩემით. ამით ვსარგებლობდი; საღამოო-
ბით, ამ კლინიკაში ლამეს ვათევანებდი მალულებს: ნოეს,
და მის მეგობრებს: ლასა მგელაძეს, ნოე ხომერიკს სილი-
ბისტრო ჯიბლაძეს და სხვებს. დილით იდრე წამოვყრი-
დი ლოგინებიდან და გავაპარებდი ხოლმეო.

რუს „დეორჩიკს“ შეუმჩნევები ეს და დაუბეჭლებია
ექიმთან რომც, თქვენი სოფია ივანოვნა არც ისე პატიო-
სანი ქალი გახლავთ თქვენ რომ გვონიათო. ექიმმა დედა
ჩემი დაიბარა. თვითონ მეიერი ლიბერალი კაცი იყო და
დედა ჩემმა მას ყველაფერი უთხრა, თუ როგორ მალუდა
ლამე შემჩნეულ ამხანაგებს. ექიმი ყველაფერს მიმხვდარა
და უპატიებია, ხოლო ვაუფრთხილებია. იმ დღიდან მოეს-
პო ამხანაგებს იქ დამლევი.

ნოეს და მაროს შეეძინათ ორი ვაჟი ბენო და კაკი,
მხოლოდ ოჯახის დიდ მოყვარულ ბიძა ჩემს ოჯახის სიტ-
კომ იმ ხანებში არ ღირსებია; სულ აქეთ იქით იმალებოდა.

მახსოვს სააღდგომოდ ვემზადებოდით. საღამო ხანი
იყო, შემოვარდა ნოე — იქ უნდა გავათენო ლამე, სახლ-
ში უკრ შევედი ჯაშუშები შევნიშნეო. მავრამ არ გასულა
ცოტა ხანი, რომ უანდარმები მოვეადგნენ. ჩვენ მაშინ, ნა-
ძალადევში ეცხოვრობდით, ერთსართულიან სახლში.
ნოემ უკანა კარებიდან გაასწრო, ავიდა ბალკონიდან სა-
ხაურვზე, გადახტა და მიიმალა.

შემოვიდნენ უანდარმები დაიწყეს ჩხრეკა. მე მაშეინ
ექვსი წლისა ვიყავი. მამა-ჩემმა შეშინებულს ხელში ან-
თებული ლამფა მომაწოდა — გაუნათეო! მითხრა. ყვე-
ლაფერი გაჩხრიკეს, მე მათ უვნათებდი — ვერაფერი
იპოვნეს; მამა-ჩემი წაიყვანეს. ორი დღის შემდევ მამა
რომ დაბრუნდა ლამფა აიღო, მას ქვეიდან ძირი მოხსნა
და საიდუმლო ქაღალდები გამოიღო. აბა რუსები რას
იფიქრებდნენო რომ ჩვენს ლამფას ორი ძირი ჰქონდათ.
და რამდენი ასეთი ხრიკები უამბნია ჩემს მშობლებს, რომ
ნოე და მისი ამხანაგები გადაერჩინათ.

დადგა რევოლუციის ხანა. ბიძაჩემი სულით და გულით, მთელ მისი ენერგიით ჩაეტა ქართულ დიდ საქმეში.

ნოე რამიშვილი გახდა მთავრობის კაცი. ის სამშობლო-სათვის თავს არ ზოგავდა, იყო სიმართლის მოყვარე, უანგარო საზოგადოებრივ საქმეში და მკაცრი საქმისადმი.

უანგარო!.. მახსოვეს ერთი მოვლენა. იმ ხანებში სომხებს ასახლებდნენ თბილისიძან. ერთ სომებს ექიმს ნოესათვის თხოვნა მიუკია — დამტოვეთო. ნოეს ეს თხოვნა შეუსრულებია და დაუტოვებია ის თბილისში. და ერთს დღეს, მე და ბენო სახლში ეიყავით. ჩეენ და ბიძაჩემის ოჯახი, იმ ხანებში ერთად ვცხოვრობდით სოლოლაქში. მოეიდა ორი მუშა და ძლიერ მოიტანეს ერთი დიდი ნოხი და ბარათი, ბატონ მინისტრსო. ბენომ ეს ნოხი ვაშალა და დაიწყო ზედ კოტრიალი, ამაში პატარა კაკიც მიემატა, სალამის ნოე რომ დაბრუნდა და წაიკითხა ექიმის ბარათი გაბრაზდა; ხელმეორედ შეახვევინა ეს ნოხი, ბარათზე მიაწერა: — მე თუ დაგტოვეთ თბილისში ეს იმიტომ რომ ღირსი იყავითო და თუ ასეთ რამებს იზამთ, მართლაც გადავასახლებთო. დაუძახეს მუშებს და ნოხი უკან გაუგზავნეს ექიმს. ნოე პრინციპის კაცი იყო. მან არავითარი პრივილეგიები არ იცოდა მის ოჯახისათვის. — მამაჩემი თეთრ პურს რომ მოგვიტანდა, ბენოს და კაკის ჩუმაჯუნდა ეჭამათ მამამ არ გაგვივოსო. ჩეენ რეგულარულად მოგვერნდა მთელ ოჯახისათვის ჩეენი წილი შავი პური. მამა მისი ბესო ხშირად ჩემოდიოდა სოფლიდან საფარებულებინით: მინისტრო! მე გარჩენო, ეხუმრებოდა ნოეს.

ბიძაჩემი ტუყილუბრალოდ დროს არ კარგადა, ქეიფი არ უყვარდა. მისი მეგობრები რომ დარჩებოდნენ ზოგჯერ ვახშმად, ჯერ ვახშამი გათავებული არ ჰქონდათ რომ ნოე წამოიძახებდა: — აბა ავდგეთ აწიო, და ყველას მის კაბინეტში გაიყვნდა.

ბიძაჩემი კარგად ლაპარაკობდა გერმანულს და ფრანგულსაც კარგად ფლობდა. მახსოვს წვეულება რომ გაუმართა უცხოელ დელეგაციას თბილისში ჩიმოსულს. მახსოვს: კაუცი, ვანდერველდე, მაკლონალდი. რასაკვირ-



ნორ რამიშვილი სურათი გადაღებულია 1921 წ. საქართველო.

ველია დაესწრენ მთელი მთავრობის წევრები და კლასა შეეღაძეც. მე და ბენოც, დიდ რუსულ ფეხის უკან ჟამალულები. მთელმა წვიმულებამ ჩვენს თვალწინ ჩაიარა.

მთელი სამი წლის განმავლობაში, ბიძაჩემს იშვიათად ვხედებოდით; დილიდან წასული იყო, ან კიდევ თავის კაბიერებში მიღება ჰქონდა სხვადასხვა პირების. საქმეები ძალა ბევრი ჰქონდა გასაკეთებელი და არ ზოგადა ენერგიას.

დაპყრობის მერე მთავრობის ერთმა ნაწილმა დასტოა საქართველო და საფრანგეთში შეიხიზნა.

მე და დედაჩემი უფრო გვიან ჩამოვედით საფრანგეთში, თან ნოე ხომერიკის თხოვნით ჩამოვიყვანეთ მისი ვაჟი ვიქტორი; — ჩემი შვილი წაიყვანეთ ნოესთან და მაროსთას ისინი კარგად მოუვლიანო, აქ ბავშვი დაშეკარგებაო. — გვითხრა ნოე ხომერიკმა.

ბიძაჩემი და დეიდა მარო დასახლებულიყვნენ სენ კლუ-ში, სადაც დედაჩემმა მიგვიყვანა მე და ვიქტორი.

ბიძაჩემი სწუხდა, ამდენ ქირას და ხარჯს ვერ გავუძღლებთთ და შის ძეგობრებთან ერთად გადასწყვიტა, სანამ სახსარი გამოელეოდათ, საღმე პარიზის ახლო - მახლო მამულის შეძენა და აი იყიდეს ლევილის მამული. აქ, პირველ ხანებში დასახლდნენ: ბიძაჩემის ოჯახი, ექვთიმე და ნინო თაყაიშვილები, კარლო ჩევიძის ოჯახი, ბენია ჩხილებიშვილი, ჯულელი, კ. საბახტარიშვილი. ბიძაჩემმა დაიწყო ბოსტნის დამუშავება; მოპყავდა ოჯახისათვის ლობით, კიტრი და სხვა. ცხნოვრობდით ძალიან გაჭირვებულებ ფული რომ გამოელეოდა ბიძაჩემს ნისიად ყიდულობდა სანოვაგეს. ლევილის მერი და მთელი მოსახლეობა ძალიან პატივს გვცემდნენ ჩვენ ქართველებს; მათ იცოდნენ ვინ ვიყავით და რატომ დაესახლდით ლევილში. ეხლაც ვხვდები მოხუც ლევილელებს, რომელთაც ახსნეთ ბიძაჩემი და კეთილად იხსენებენ მას.

ნოეს ძალიან უყვარდა ახალგაზრდობა სიამოვნებით ილებდა და ესაუბრებოდა მათ. მახსოვს მან სადილი გაუმართა ლევან ფალავას (მაშინ ბულუტას), არისტოტელ

გველესიანს, მიშა გაფრინდაშვილს და სხვ. ყველა დაარი-
გა, აუხსნა ყველა სიძნელები რაც ახალგაზრდას ევროპა-
ში შეიძლება შეხვდეს. ლევან ფალავა განსაკუთრებით
შეცოდა: ასე ახალგაზრდა მშობლებს მოშორებიხარო.

ერთი საღამო მახსოვეს. ვახშმათ ყველა ბიძაჩემთან
მოვცროვდით. ვალიკო ჯულელმა მე მუხლებზე დამისვა
და მითხრა აფრიკაში მივდივართ მე და ბენია, და რომ
ჩამოვალთ ვეტხის ტყაეს ჩამოვიტანთო. რა ვიცოდი რომ
ეს აფრიკაში წასვლა იქნებოდა, მათი საქართველოში არა-
ლევალურად შესვლა; საიდანაც ის ბედშავები აღარ
დაბრუნებულან.

ბიძაჩემს, კვირაში სამჯერ პარიზში ჩასვლა უხდებოდა,
მაშინ მიმოსვლა ძალიან ძნელი იყო; დღეში ერთი პატარა
მატარებელი დილით და საღამოს, რაც ძალიან ღლიდა.

1929 წლამდე იცხოვრეს რამიშვილებმა ლევილში, და
გადასწვიტეს პარიზის ახლო, ფონტენე თ როზ-ში გა-
დასვლა, სადაც ბიძაჩემს დიდხანს არ უცხოვრია.

დადგა 7 დეკემბერი 1930 წლისა. ბიძაჩემი, როგორც
ჩეეულებრივ მოემზადა კრებაზე წასასვლელად; ისადი-
ლა, გამოემშეიდობა მაროს და ბავშვებს და კარებისაკენ
წავიდა, — ბალის კარებიდან ორჯერ მობრუნდაო —
მოგვიყვა დეიდაჩემმა — ხელი დამიქნიაო. და ეს ხელის
დაქნევა უკანასკნელი იყო ბიძაჩემისა, მას კრებაზე მისვ-
ლა არ დასკალდა, მას ერთმა მტრის ტყვიამ მოუსპო სი-
ცოცხლე, დააობლა ოჯახი.

ასე ტრალიკულად დამთავრდა ბიძაჩემის ხანმოკლე
ბრწყინვალე ცხოვრება მისი ერთი სამსახურში.

მაშვინ ბენომ დაიწყო სამსახური, ამოულგა დედამისს
გვერდში და გაზარდა მისი დები და უმცროსი ძმა.

მჯერა საუკუნოდ იქნება მისი ხსოვნა მთელი ქართველი
ერთი გულში.

თამარ კახელაძე—თაყაიშვილი.

[I] = [I]

მცირე მოგონებანი დღი პლაზმუ.

ნოე რამიშვილისადმი მიძღვნილ ამ ნომერში, მრავლად იქნება აღნიშნული მისი ფასდაუდებელი საქმიანობა თავისუფალ საქ.როველოს საკეთოლდღეოთ.

ვინ იყო ნოე და რა აკეთა მან? უკველივე ამის ჩამოთველა ძნელზე ძნელია ჩვენი ემიგრაციის პირობებში. თუმცა მოვალენი ვართ, რამდენადაც შეგვიძლია, მონაწილეობა მივიღოთ ამ საშეილოშეილო საქმეში, რომ მომავალ თაობებს შემოუნახოთ ამ კეთლმოსაგონარ აღა-მიანებისადმი კეთილი მოგონებანი.

ამ დღიდ საქმეში, ჩემი მცირეობული შვლილიც. —

ჩემს ოჯახში, ხშირად იქრიბებოდნენ ახალი თაობის ხალხი, ასე უძახდნენ მაშინ მათ.

მოწვევული პირები იყვნენ: კარლო ჩხეიძე, ბენია ჩხიკვიშვილი, რაფიელ ჩიხლაძე და სხვ. ნოე რამიშვილს ჩემს სოფელში, დვაბზუში ყავდა ბიძა კ. მგელაძე, რომელთანაც ის ხშირად დადიოდა და სამ დღესაც რჩებოდა, მა-მაჩემი და კ. მგელაძე იყვნენ პარტიულები, ყველა პარ-ტოულები ვინც ახლო-მახლო იყვნენ გროვდებოდნენ ნოესთან და საუბრობდნენ. მთელმა კუთხემ იცოდა ნოეს ცტუმრობა და გახარებული იყვნენ. ერთ დღეს, მამაჩემმა მითხრა ნოეს გაგაცნობო და წაშიყვანა. ნოემ მომეფერა და მამაჩემს უთხრა: კაი შეილი გყოლიაო, მე ეს დავიჯე-რე, გახარებული მივედი სახლში და დედიჩემს ვახარე, ერ-თობის კაცმა მაქო მეოქე.

ამის შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მეც ერთობის კაცი შევიქენი და რეინისგზაზე ვმუშაობდი.

1917 წლის რევოლუციამ სალგურ სანაინში მომაწია.

მაშინ კომიტეტობა იყო და ჩვენც შევადგინეთ კომიტე-ტი; მთელი ქანდარმერია, პილიცია გავაიარალეთ და მათი ადგილი დავიკავეთ, არავთაირი წიანააღმდეგობა ზათ მხრივ არ ყოფილა და ჩვენც მათ ვეხმარებოდით ლამაზად წალულიყნენ; ვინც წავიდა არავინ სახლში არ მისულა, გზაში დახოცეს, — ვინც დარჩა ისინი ცხოვრობდნენ და კმაყოფილნი იყვნენ ჩვენი, მნახულობდნენ კიდეც.

რევოლუციის დღეებში მე ნოესთან მივედი ჩვენი კო-
მიტეტის საქმეზე. მოვაგონე, მის ბიძასთან ჩემი გაცნო-
ბა და ვსთხოვე რჩევა - დარიგება.. ამის შემდეგ მე მისი
ერთგული ჯარისკაცი ვიყავი სხვა მრავალ ქართველებთან.

ნოე რამიშვილი იყო დიდი სეხელმწიფო მოღვაწე;
ლირსეულად ემსახურა თავის სამშობლოს. ასეთი პირები
იშვიათად იბადებონ.

ეუსურვებ ჩვენს ქვეყნას გამარჯვება! გადმოხეწი-
ლებსაც; გენახოთ გამარჯვებული და ბედნიერი საქართ-
ველი! ეს იყო განსვენებული ნოე რამიშვილის ოცნება.

მოსწრებოდეთ ამას!

პრ. ინჟკირველი.

ს ი უ დ ა ნ

მწუხარებით ვიგონებთ ჩვენი სასიქადულო მინისტრის
ნოე რამიშვილის ტრ. ლიკულად დალუპვის 50 წლისთავს.

მოგონიერი განსვენებულ 60-ი რამიშვილზე

ნახევარმა საუკუნემ გაიარა განსვენებულ ნოე რამიშ-
ვილის ტრალიკულად დალუპვის შემდეგ. ეს დღე იყო,
ფაქტიურად, უზომო ეროვნული გლოვისა. და ჩვენ,
მის მოწაფებს მოვალეობად გვაწევს მოვიგონოთ ის ადა-
მიანი, რომლის სიკედილმა სამშობლო თალხებით შემოსა.

თუ ერის კულტურას, ძლიერებას და აღმავლობას შორ-
შეხდეველობით რჩეული ჰქმნიან, სწორედ ასეთ რჩე-
ულთა რიგს ეკუთვნოდა განსვენებული ნოე რამიშვილი

ჩვენი მეორე სამშობლოს საფრანგეთის კულტურა და
ძლიერება შექმნეს პანრი მეოთხემ, ფრანსუა პირველმა,
ლუდოვიკ მეთოთხმეტემ, რიშელიომ და ყოველივე უკ-
დავი გახადა ნაპოლეონის გენიამ, რომლებიც ეყრდნო-
ბოდნენ დედასა მშობლოს.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური პარტიების გოლიათებიც
ეყრდნობოდნენ რა ჩვენს ერს და მის სეიანობას შესძლეს,
და აღადგინეს საქართველო სახელმწიფოებრივად, პოლი-
ტიკურად და კულტურულად.

თუ განსვენებული ნოე ქორდანია იყო ტვინი ჩვენი მოძრაობისა, ნოე რამიშვილი იყო ხერხემილი, რკინის-ნების სიმბოლო და შეუდარებელი ორგანიზატორი. მის დამსახურებას მიეწერება პარტიის წყობა და ორგანიზაცია. ერთს გამრთელება, მისი წინსვლა მოითხოვს დიდ ორგანიზაციას, დიდ პოლიტიკურ არქიტექტორს და აი სწორედ ყველა ასეთი ოვესებებით იყო დაჯილდოვებული განსვენებული, აი ვინ იყო ნოე რემიშვილი.

117 წლის მონობის შემდეგ არ იყო ადვილი ნორჩ რესპუბლიკაში წესრიგის დამყარება; იმედიანი და შინაარსიანი მომავლის პირობების შექმნა, და სწორედ, ყოველივე მომავალ და აწყვე პრობლემებს განსვენებული ვაჟა-ფშაველად და ნიჭიერად ერკინებოდა და ჩვენი ერთს ყოველ მიღწევებს მისი უკვდავა ბეჭედი აზის.

ბოლშევიკები, და საზოგადოდ, რუსეთის ავენტები რამიშვილს არ ინდობდნენ; ყოველგვარი ცილისწამებით თაავს ესხმოდნენ. ეს მოვლენა თავისთვალი მოწმობს მისი რკინის ნებისყოფას, და ქართველი ერთს სიყვარულს და დაფასებას.

მან ერთ-ერთ პირველთაგანმა იწინასწარმეტყველა, რუსეთის იმპერიაში მოქცეულ ერთა განთავისუფლების აუცილებლობა. და უმიველია, ნოე რამიშვილი დღევანდელ პოლონეთის მოძრაობას მოსწრებოდა, მთელი მისი თანაგრძნობა და კეთილი სურვილები, ჩვენი მეგობრის, პოლონელ ხალხის გამარჯვებისაკენ იქნებოდა.

გაევიტვებული ვიყავით იმ სიყვარულით და გამხნევებით, რომელსაც ის იჩენდა ახალგაზრდობის მიმართ. მან ლრმად იცოდა მშობლიური და უცხო ლიტერატურა. უყვარდა ახალგაზრდებთან საუბარი, იყო იშვიათი მასწლებელი. მე მომისმენია მისი იდეალური საქართველოს პოლიტიკური არქიტექტურა; სილამაზით და იმედებით მომხიბლავი.

ნოე რამიშვილი სამშობლოს ისტორიაში ამაყაად შესული, ქართველთა გულში სამუდამოდ დაისადგურებს:

გრიგოლ წერეთმლი.

3. ჩუბინიძე.

თოვ რამიშვილი

(მოგონებები ჩემ რვეულიდან.)

მე ნოე რამიშვილი გავიცანი 1906 წელში. ეს ის ხანაა, როცა ბოლშევიკების და მენშევიკების ორგანიზაციები იყვნენ ც-ლ-უალე და მათ შორის დიდი კამათი მიღიოდა. რასაკვირველია ჭიათურის მრავლრიცხოვან ორგანიზაციებში ეს კამათი უფრო მწვევე იყო და ორივე ორგანიზაციები მწვავეთ იბრძოდა.

იმ ხანებში ბათომში დაიკეტა როტშილდის ქარხანა და ამ ქარხნის უმუშევარი მუშები ჭიათურას მოწყდა; მათ მთელი ჯგუფი ბოლშევიკებისა ჩამოყვა და ამით ზურგამაგრებულებმა მოაწყეს სოსო ჯულაშვილის (კობა) მოხსენება და შემოგვითვალეს მოდითო!

ჩვენმა კომიტეტმა მათი გამოწვევა მიიღო. მაშინ-დელ ჩვენს კომიტეტში შედიოდნენ: თავმჯდომარეთ ნესტორ ჩხიყვაძე, წეცრებათ; გიორგი წერეთელი (ცაცასი) ვლადიმერ ჯიბლაძე, ზაქრია გურული, შალვა აბდუშელიშვილი; გადაწყდა თბილისში კაცის გაგზავნა ჩვენს ცენტრალურ კომიტეტში, გამოეგზავნათ გრიშა ლორთქიფანიძე და ნოე რამიშვილი. მე, როგორც შეუმჩნეველი, ზაქარია გურულმა დამასახელა და წავედი თბილისში, ჩაუტანე სილიბისტრო ჯიბლაძეს ჭიათურის კომიტეტის დადგენილება. სილიბისტრომ თავზე ხელები მოიჭირა, თავი ჩაღუნა:

ჩემო ახალგაზრდა ჭიათურელო! — მითხრა მან — ყველა ჩვენი ამხანაგები დაიჭირეს, გრიშაც და სხვებიც; ის უკულმართი კობა გადარჩა და იმან იცის რომ ვერავის გამოუგზავნი ჭიათურას, ამითი სარგებლობს, ერთად - ერთი გადარჩა ნოე რამიშვილი, მეტი არავინ არა გვყავს. ალბათ კობა ფიქრობს ნოეც დაჭერილი არის და ამიტომ წამოვიდა ის ჭიათურაშით.

6. Համուշելով դա մե յրտաճ թշմոցքութ կուտուրանին. մարտահեղեղմուն ման զամոմյուտեա կուտուրուս մալցի հաս բարմուացցնեա. մե ցոյմի: ոչո յրտո եան, հռու յոմամ մոմոյցան յշտասուսօւճան սամո մոմթաւցցեցուլո յարցո პհոքացա- նուսիրո: յուրե լունցամ, սրբէյո ոնթյունցըլո, լու Շյո- ցըլանօ. ամառ մոնմերկը ծցցրցան հցենո ամեանցեծի, մաշրամ նշյահու ցուրուլուս մշշաօնօտ, մուլո ուրցանինչացոյնի հցեն եւլմո ցալմոցութնեն, ծոլլմշցոյցքմա գայարցը տու- յմիս մուլո մալցի մետյիօ; սպտացրցըսաւ սայուսէրո մարտ- հեղելուս, մատ մոյր ցամակցուս Շյմլցեց. թաուլը 20 օտասո մանցու, յը լուլո Շյալցրցը կուտուրուս սամիսկացու և ցա ցալասեցցունցը ցլցեցիս և մուշըն:

ჩვენ ჰიათურაში შეიღობით ჩაეცელით, სადგურზე დაგვ-
ხვდა ნესტორ ჩხილებე. ნორ რამიშვილი ჩუმად მოვიყე-
ნეთ გრიგოლ ფხალაძის ოჯახში. სარაკ მან თამა ეპთა.

მეორე დღეს, შაბათს 12 ამრიღს, კრება შესდგა საავადმყოფოს ჟურნალისტის თავისაში, ეს ისები იყვნენ უკელა ბოლშევიკები ცხინვალითან.

კრებას დაესწრო 28 ქაცი. ბოლშევიკებიდან: კობა, გალაქტიონ ვაშ.ძე, ბუდუ მდივანი, ნიკო ბრევაძე, ნიკო ცისკარიძე, ფილ. ცირცევიძე და იუსტინე გამეზარდაშვილი. ჩეენი 22 ქაცი ყვალა კარგი მოძრადებულები. კრება ვახსნა გალაქტიონ ვაშაძემ (ჩამაღანი მისი ფსევდონიმი).

კობამ მოითხოვა ნოე რამიშვილს პირველად ელაპარაკა. ნოემ უპასუხა — არა, თქვენ ხართ მასპინძლები და თქვენ უნდა გააკეთოთ მოსტნებათ. მნაირად კობა თავიდანვე ჩიხში მოექცა; მას არ ეგონა თუ ჩვენ მოვიყვანდით ნოე რამიშვილს.

კობამ დაიწყო წყნარად: — მისი აზრები ასე მახსოვეს: — ჩვენს და ოუსეთის პროლეტარიატს არ დასჭირდება, არმელიმე, ეგრეთ წოდებულ სოციალისტურ, ნახევრად წერილბურუუაზულ პარტიებთან საერთო კავშირი. ესენი არიან, სოც. დემოკრატები და ავტონომისტები ფედერალისტები. ჩვენს პროლეტარიატს, ჩვენ გზა უკვე გავუკუთხოთ და კუახლოვდებით ბარიკადებს.

ამოილო გაზეთები თოფტიდან: „ისკრა“ რუსული და „ბრძოლა“ ქართული; უმთავრეს და კითხულობდა ლენინის და ფილიპე მახარაძის წერილებს; აძლევდა მისებურად განმარტებებს, თან იხმარდა, ზოგადად, მარქს და ენგელს.

— ჩვენი მთავარი აზროვნება, საერთოდ, არის მარქსის ნაწერებით, და ლენინის აზროვნებათ, — ამბობდა კობა. — აი ჩვენი გზა რომ დაგმარჩოთ რომანოვების დინასტია და აიღოს ძალა - უფლება რუსეთის პროლეტარიატმათ. — თან ამატებდა მისებურად: — ნოე უორდანია არის ევროპიული რევოლუციონერი, სერთო ენის გამონახვა მას უფრო შეუძლია ფედერალისტებთან, ილრა ჭავჭავაძესთან, ვიდრე ლენინთან და მარქსთან, ის არის უფრო რადიკალი ეიდრე რევოლუციონერიო.

მან ასე დააბოლავა თავისი მოხსენება: — ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მეფის და მთავრობის წინააღმდეგ: ტერორი და ო ვდასხმა მტრებზე რომ ჩვენ გავმაგრდეთო.

კობას სიტყვის მეტე გალაქტიონ ვაშაძემ თავმჯდომარეობა ნესტორ ჩხილების გადასცა. სიტყვა აიღო ნოე რამიშვილმა და თავიდანვე განაცხადა: „მხანაგებო! ვაცხადებ ჩვენი საოლქო კომიტეტის სახელით, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ ლენინის აზროვნებს და მის ნაწერებს. მან ლენინის ნაწერები გააჩინა და დაასკვნა რომ ლენინის აზრები არ არის მუშათა კლასისათვის სასარგებლო. მერე სასტიკად დაჰგმო ტერორი, გაძარცვა მატარებლების და ექსცისები. მან მოიყანა მის ბევრი საბუთები და მაგალითები. მან სთქვა: ჩვენ დიღი ყურადღებით შევისწავლეთ ევროპიული საზოგადოების, მისი ხალხის მოძრაობა, მისი მუშათა კლასის ბრძოლები ამ საზოგადოებაში, ეაფარდებო მას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას და მიკიდევართ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი ხალხის და ჩვენი მშრომელთა გზაც გაივლის ცველა იმ ეტაპებს ცხოვრებაში, რაც ევროპიელ მშრომელებმა გაიარეს და მომავალშიც უნდა გაიარონ.

ჩვენ ვიზიარებთ გერმანიის სოციალისტების პოზიციას, კარლ კაუცის ნაწერებს; მის ზოგად კრიტიკას მარქსის

და ენგელსის „ზროვნებისა: ჯერ მომზადება პროლეტა-
რიატისა მერე, მომზადებული, განვითარებული მუშათა
კლასი შეცვლის ბურეუაზიულ კლასი, — სოქვა ნოვე.

შე გვკითხები შენ კობა! შენ იხმარე მარქსის ნაწერები,
რომ პროლეტარიატი დამარხავს ბურეუაზიას. აბა სად
სწერია ეგრე? ჩვენც წაგვიყითხავს ეგ ნაწერები, მაგრამ
ეგრე არ არის. აბა დაასახელე ბარქსის ნაწერების რო-
მელ გვერდზე სწერია ის რასაც შენ ამბობ? მე კი შემიძ-
ლი. დაგისახელო გვერდი სადაც მარქსი სწერს: პროლე-
ტარიატი უნდა მოქმედოს; მან უნდა გაიღებას ფესვი
ძოელ მუშათა კლასში და მომზადებულმა უნდა იღოს
ძალაუფლებაო. — ეს არის მარქსის შრომის პირველი გა-
მოცემა ლონდონში, გვ. 198.

წოებ ბრძლი დ. სდომ ბოლშევიკების საოლქო კომიტეტს:
— თქვენ აწარმოებთ ძარცვას. გაძარცვეთ სად. რკვიავ-
სა სადგ. სალიეთს შეუ საფოსტო მატ. რებელი კოტე
ცინც. ძის მეთაურობით, მოქალაით შორაპნის მაზრის მარ-
შალი ნესტორ ხიდიბეგაშვილი და სხვ. ჩვენ ვერ შევსძ-
ლებთ ერთად მუშ. მასა; ჩვენ ვართ სასტიკი წინააღმდე-
გი ტრონის და ძარცვის, თქვენ კ. ეს მიგაჩნიათ რევო-
ლუციონო. მან ბევრი მასალები იხმარა ლენინის, თვით კო-
ბას მოხსენებიდან და გააბათილა ისინი. სოსო ჯულაშვილ-
მა თავი ჩამუნა. ბუღუ მდივანმა შეატყო, რომ კობას
მოხსენება და მისი დებულებები ნოე რამიშვილმა დაარ-
ღვია; იმჯობინა წინადადება შემოეტანა: ცუყაროთ კენ-
ჭიო.

ცუყარეს კენჭი: კობ. ს მოხსენებას ხმა მისცა 9 კაცმა,
ნოეს ხმა დაუჭირა 23 კაცმა. კრება გათავდა ნოეს გამარ-
ჯვებით. ეს პირველი გ. მოსვლა იყო ნოე რამიშვილის ჭი-
ათურის მუშებთან. დავიშალენით. კობა მერე ჭიათურაში
აღარც მოსულა.

ნოე რამიშვილი გამოვიდა ბათომის მუშათა და გლეხ-
თა კონფერენციაზე, 12 ივნისს 1905 წელს, რომელიც
გურიის კომიტეტმა მოაწყო ბათომის ქართულ სკოლაში.
გასთან ერთად დელეგატებათ იყვნენ: ნოე ხომერიკი, ბე-
ნია: ჩხიცევიშვილი, ჭოლა ლომთათიძე, ისიდორე რამიშვი-

ლი, კოლია ქარციფაძე, ვარლამა ქალანდაძე, გრიშა ურა-
ტაძე, თენგიზ ულენტი და სხვ. აქაც, ნოე რამიშვილმა
დაპგმო ტერორი, ძარცვა და ეკლესიებზე თავდასხმა და
იქაც ვაიმარჯვა. სწორედ იმ კონფერენციაზე სწერს ძველი
ბოლშევიკი თენგიზ ულენტი თავის წიგნში: „გურიის
მოძრაობა 1905 წელში“: (წიგნი გამოცემულია 1927წ.)

ბენია ჩხიკვეშვილისაგან მივიღე წერილი, რომ 15 ივ-
ნისს 1905 წ. ბათომში მოწვეულია გურიის კომიტეტის
მიერ კონფერენცია გლეხობისა და ბათომის მუშათა ორ-
განიზაციებისო.

კონფერენცია ვაიმართა ბათომის ქართულ სკოლაში.
კამათში ყველამ მიიღო მონაწილეობა. უმთავრესი საკით-
ხი ტერორის წარმოება იყო, რამაც დიდი შეხლა-შემოხლა
გამოიწვია. ნოე რამიშვილმა დაპგმო ტერორი და ძარცვა.
დიდი კამათის შემდგი მიიღეს ნ. რამიშვილის წინადადე-
ბა: აკრძალვა ტერორის, აკრძალვა ძარცვის, და აგრეთვე
ეკლესიებზე თავდასხმა“.

აქ ნათქვამი ჩემი მოგონებებიდან ეკუთვნის ნოე რა-
მიშვილის დიდ ლვაწლს სამშობლოში; მის დაუღალაკ
მუშაობას საქართველოში; ქვეყნის მშრომელი ხალხის
შეგნების, მისი მომზღვებისა და დარაზმის.თვის, იმ დიად
საქმისათვის, რაც 26 მაისით დაგვირგვინდა.

მე, ჭიათურის მაღაროს მუშა და ჩემთან ერთად, მთელი
მშრომელი ქართველი ხალხის უღრმესი სიყვარულით
ნოე რამიშვილს და მის დასს ვუძღვნი ამ ჩემს მოგნებას.

რაც დრო გაივლის, იმათი შეუდარებელი მოღვაწეობა
ერის საკეთილდღეოთ უფრო მეტად დაფასდება და ქარ-
თველ მშრომელთა გულში წაუშლელი დარჩება.

საქართველოს სოც. დემოკ. პარტიის საზღვრებელი
ბიურო, პარტიის ს. დ. პარტიის ორგანიზაციის სომიტეტი
და „ჩეენი დროშა“-ს რედაქცია დიდ მაღლობას უცხადებს
ყველა იმ პირებს ვინც კეთილინებეს და გაიღეს მორა-
ლური და მატერიალური სახსარი, ტალიკულად დაღუ-
ბულ თავისუფალ საქართველოს პირები ეროვნული
მთავრობის თავმჯდომარის ნოე რამიშვილის ხსოვნისათ-
ვის მიძღვნილ ამ უურნალისათვის.

„ჩენი დროშა“-ს ფ. 26 დ ი

ბენო, აკეკი და ნუცა რამიშვილები, საყვარელი მამის
კეთილმოსაგონარად 1000 ლ.

ექ თ. აბდუშელიშვილი, მამის გარდაცვალებიდან

16 წლისთავის აღსანიშნავად	1000
---------------------------	------

მამია ბერიშვილი	300
-----------------	-----

ლმვან ფალავას ოჯახი	500
---------------------	-----

შიხ. გაფრინდაშვილი	500
--------------------	-----

პროკოფი ინწყირველი	500
--------------------	-----

ნათელა უორდანია	400
-----------------	-----

არისტ. გველესიანი	300
-------------------	-----

ნ. და შ. თაყაიშვილი	300
---------------------	-----

სიმონ ბლიაძე	300
--------------	-----

სოშოს სათვისტომო	300
------------------	-----

გ. ბოლქვაძე	200
-------------	-----

ქეთო ბარნოვი	200
--------------	-----

ქრისტ. იმნაიშვილი	100
-------------------	-----

ვრ. წერეთელი	100
--------------	-----

შოთა აბაშიძე	100
--------------	-----

პავლე ვაშაძე	100
--------------	-----

ნამეტია ვოგუაძე	70
-----------------	----

3. სარჯველაძე	50
---------------	----

ერმალოზ ყარველაშვილი	50
----------------------	----

ჯაბა ხაბულიანი	50
----------------	----

ჯ ა მ ი : 6,420

ამ ნომრის გამოცემის ხარჯები: სტამბის,
ექსპედიციის და წვრილმანი ხარჯები დაახლ. 2,200

ნაშთი: 4,220

ნაშთი გადაიდება საგამომცემლო ფონდში.

Եռյ համոմցուլուս ոչշանո դա „Քայլութեա“, -և հրեգայի Արա, Գուգ մագլունծած Մաքաւընքն, Քայլութեա Հրեգայի Արա, Վահագան, Համելմակ տացուսո Ենքրշուտ Ըստ Խոնճոմեծուտ, Ամ Եռմիուս ցամուցմած Մաքլումանելա դա Քայլութեա Շեմլիուցարագ, Ցոլումը մոուց նա.

Ես „Քայլութեա“ - Տացուսակուորեծուլո Եռմիուս, Արա Լոյցուագ Ճալութուլո Ռիշուատո Օժամունուս Պատրիօսակումագ դա Թուսո Ծամա Տոյց Հայութ Աթուու դա Ծայինոյուրագ ցածումա ոլու տապանակուլմա, Հուստուսաց Քայլութեա մագլունծած.

ՑՈՒՅԱԿ ՀԱՍՈ.

† Եռյ Սորդանու Քայլութեարեցա	3
† Ի. Արևենուց Եռյ Համոմցուլուս Եսունաս	6
Ա. Շալագա Քայլութեա Ցլուցա	9
† Եմ. Լոռմտատուց	12
† Ե. Թենալարոմցուլո Հոցոր Թոեցա!	19
Ջյու. Թելուս Տուրպա Ռիմ. Եռնու Եյլուսումո	21
† Զ. Տարջազելաց. Գուգու Օժամունուս Եսունաս.	24
Ց-Ց Շերետելո Ճամարչեծուլո Թագրամ գ Սիրյեցելո	26
† Ց. Ածդութելո Եռյ Համոմցուլուս Եսունաս	30
Ց. Կուցունու Ե. Համոմցուլուս. (Լոյցիսո)	34
Ց. Ցերոմցուլո Ե. Ի. Ցուոցրացուա	35
*** Ցրյեսուս ցամոեմասութեա	44
Ց. Եայանուց Իյմու Ցոցոնցեա	46
Տոմոն Ցլուսուց Ե. Ի-Ե Ռիմու Եսունաս!	48
Տ. Կանցելաց - Տապանակուլո Ցուսիմու Եռյ Համոմցուլո.	50
Ցրու. Ռիմունուցելո Ցուուր Ցոցոնցեցու Ե. Ի-Ե	55
Տունու Տագուսէրոմուգան	56
Ցրոցուլ Շերետելո Եռյ Համոմցուլո (Ցոցոնցեա)	56
Ց. Բիշենուց Եռյ Համոմցուլո	58
Ցեմո՛ւրուլցեցու դա Եեց.	63

